პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 53 (10750) | კვირა, 3 მარტი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

საზოგადოებრივი კვება დიდმნიშვნელოვანი საქმეა

საზოგადოებრივი კვების ასოცდაათი ათასი საწარმოა ჩვენს ქვეყანაში. აბა კარგად ჩავუკვირდეთ ამ ციფრს! იგი ნათლად მოწმობს იმას, თუ რა უდიდეს როლს ასრულებენ ისინი მშრომელთა ყოფაცხოვრებაში. ათობით მილიონი საბჭოთა ადამიანი სარგებლობს ყოველდღიურად სასადილოებით, საჩაიეებით, ბუფეტებით, რესტორანებით, სასაუზმეებით. საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაკების, განსაკუთრებით მზარეულების, კულინარების მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული მუშათა და მოსამსახურეთა ჯანმრთელობა, მათი შრომისუნარიანობა, შრომის ნაყოფიერება. თუ სასადილოები და საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოები კარგად მუშაობენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ხელს უწყობენ სოციალისტურ საწყისებზე ყოფაცხოვრების გარდაქმნას, იძლევიან იმის საშუალებას, რომ საბჭოთა ქალები განთავისუფლდნენ სხვადასხვა ნაკლებად ნაყოფიერი სამუშაოსაგან, რომ ისინი საწარმოო ან სხვა საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას ეწეოდნენ, მეტ დროს უთმობდნენ მოზარდი თაობის აღზრდას.

საზოგადოებრივი კვება მტკიცედ დამკვიდრდა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ყოფაცხოვრებაში. განუწყვეტლივ ფართოვდება სასადილოების, საჩაიეებისა და ბუფეტების ქსელი. მარტო შარშან საქართველოში საზოგადოებრივი კვების 91-ით მეტი ობიექტი შეიქმნა, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. გაიხსნა შინწასაღები სადილების სამზარეულოები და აგრეთვე ნახევარფაბრიკატების გასაყიდი მაღაზიები, დამატებით გაიხსნა 3 დიეტური სასადილო, ამასთან 49 დიეტური განყოფილება საწარმოებისა და უმაღლესი სასწავლებლების სასადილოებთან. მშრომელთა მომსახურების ისეთი პროგრესული მეთოდით მუშაობაზე, როგორიც არის თვითმომსახურება, გადაყვანილია რესპუბლიკის სამასზე მეტი საწარმო, ანუ ამ მეთოდით მუშაობაზე გადასაყვან ობიექტთა 37,2 პროცენტი. იმის შედეგად, რომ სოფლის მეურნეობაში მოპოვებულ იქნა მნიშვნელოვანი წარმატებანი, ქალაქად გაუმჯობესდა მოსახლეობისათვის ხორცის, რძის, ბოსტნეულისა და სხვა პროდუქტების მიწოდება.

ჩვენთან ცოტა როდია ისეთი საწარმო, რომლის კოლექტივიც მუშაობა და მოსამსახურეთა პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობს, კულტურულად ემსახურება მყიდველებს. რით დაიმსახურეს მათ მასების ეს პატივისცემა? იმით, რომ ყურადღებით და თავაზიანად ეპყრობიან მომხმარებლებს, აბადებენ გემრიელ და იაფ კერძებს, წარმატებით იყენებენ ვაჭრობისა და მომსახურების ორგანიზაციის მოწინავე ფორმებს — თვითმომსახურებას, სადილების აბონემენტების გაყიდვას, ნახევარფაბრიკატების რეალიზაციას, ამზადებენ საკუთარი წარმოების საკონდიტრო და კულინარიულ ნაწარმს, აქვთ თავიანთი დამხმარე მეურნეობა. მოწინავე საწარმოს მუშაკები ზრუნავენ იმისათვის, რომ რაც შეიძლება სრულად კმაყოფილდებოდეს მუშებისა და მოსამსახურეების მოთხოვნილებანი, ისინი ითვალისწინებენ მომხმარებელთა შენიშვნებს და თავიანთ მუშაობაში ეყრდნობიან საზოგადოებრივი კონტროლიორების დახმარებას.

ამავე დროს არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საქართველოს მთელ რიგ სამრეწველო რაიონებსა და ცენტრებში ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის მოწყობილი საზოგადოებრივი კვება, ცუდია მომსახურება. უდავოდ სამართლიანია ჭიათურელ მაღაროელთა გულისწყრომა იმის გამო, რომ მათს სასადილოებში ერთფეროვან, უგემურ და უხარისხო კერძებს ამზადებენ, იქ უწესრიგობაა, დაცული არ არის სანიტარიის წესები. ასეთივე მდგომარეობაა ქვანახშირის მრეწველობის ქალაქებში, ტყიბულისა და ტყვარჩელის შახტებში. შექმნილი მდგომარეობისათვის სავაჭრო ორგანიზაციებთან ერთად არანაკლები პასუხისმგებლობა ეკისრებათ სამეურნეო და პროფკავშირულ ხელმძღვანელებს, რომლებიც მოვალენი არიან ყოველდღიურად ზრუნავდნენ მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

საზოგადოებრივი კვების მუშაკთა საკავშირო თათბირმა, რომელიც ამას წინათ გაიმართა მოსკოვში, განიხილა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხი — როგორ მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში საზოგადოებრივი კვების შემდგომი აღმავლობის შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილება უკეთ და სწრაფად შესრულდეს, როგორ ავამაღლოთ მომხმარებელთა მომსახურების კულტურა. თათბირის მონაწილეებმა მოუწოდეს საზოგადოებრივი კვების ყველა მუშაკსა და პროფკავშირულ ორგანიზაციას ფართოდ გაეაჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება საქონელბრუნვის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისა და საკუთარი პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის, კერძების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მიმოქცევის ხარჯების შემცირებისა და საკერძე პროდუქციის ღირებულების შემცირებისათვის, სამმართველო აპარატის სრულყოფისა და შემდგომი გამარტივებისათვის, მომხმარებელთა მომსახურების კულტურის ამაღლებისათვის. მოწინავე საწარმოთა, საუკეთესო კულინართა, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა გამოცდილება გადაეაქციონ ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი კვების ყველა მუშაკის კუთვნილებად.

საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაკების წინაშე პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დასახეს ამოცანა: საქმე ისე მოაწყონ, რომ მშრომელთა ფართო მასებისათვის უფრო მოსახერხებელი და ხელსაყრელი იყოს სასადილოებით სარგებლობა. მათი ვალია ფართოდ გაიჩაღონ ბრძოლა ამ ამოცანის შესასრულებლად. შემდგომში განვავითარებთ და გავაფართოებთ რა საზოგადოებრივი კვების საწარმოებს, უნდა გვახსოვდეს, რომ იგი რაც შეიძლება მეტად მივუახლოოთ მომხმარებელს, გავადიდოთ დიდ სახლებთან სამზარეულოთა, სასაუზმეთა, ნახევარფაბრიკატებისა და კულინარიული ნაწარმის მაღაზიათა რაოდენობა. ამ საქმეში საზოგადოებრივი კვების მუშაკებს დიდი დახმარება უნდა გაუწიონ სამრეწველო საწარმოების, მშენებლობების, უმაღლესი სასწავლებლების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა ის არის, რომ ყოველმხრივ გავაუმჯობესოთ ბავშვთა კვება სკოლაში, უკეთ მოვაწყოთ სასკოლო ბუფეტების მუშაობა.

ბოლო უნდა მოვუღოთ ფორმალიზმს, რასაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი ახალი, პროგრესული ფორმებისა და მეთოდების წარმოებაში დანერგვისას, კერძოდ, თვითმომსახურებაზე გადასვლაში, როცა მას მოემზადებლად, სახელდახელოდ აწყობენ. საქმისადმი ასეთ დამოკიდებულებას ზოგჯერ სარგებლობის ნაცვლად ზიანი მოაქვს, კი არ აუმჯობესებს, არამედ აუარესებს მომხმარებელთა მომსახურებას, რაც შეუწყნარებელია.

სასადილოებისა და ბუფეტების მუშაობის გარდაქმნაში დიდი როლი ეკუთვნით პროფკავშირულ ორგანიზაციებს. ისინი მოწოდებული არიან საზოგადოებრივი კონტროლი დააწესონ მათს საქმიანობაზე, გამოავლინონ მომხმარებელთა მოტყუების, უწესრიგობისა და ანტისანიტარიის ფაქტები. იბრძოლონ მათი აღმოფხვრისათვის.

ყველა ღონისძიება უნდა მივიღოთ იმისათვის, რომ საზოგადოებრივი კვების საწარმოები სანიმუშოდ მუშაობდნენ, რომ დღითიდღე უმჯობესდებოდეს საბჭოთა ადამიანის მომსახურება.

ფინეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელთა მიღება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში

1957 წლის 27 თებერვალს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა საუბარი ფინეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებთან, რომლებიც მოსკოვში იმყოფებიან.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ა. სუსლოვმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ნ. პონომარიოვმა და ფინეთის კომპარტიის წარმომადგენლებმა — კომპარტიის თავმჯდომარემ ამხ. ა. აალტონენმა, კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ამხ. ვ. პესმა, ფინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ამხ. მ. რიუმმამ.

საუბარში, რომელიც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ფინეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ზოგიერთ საკითხზე, აგრეთვე განიხილეს ორი პარტიის ძმური ურთიერთობის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები. ორივე პარტიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს მათი პარტიების შეხედულებათა სრული ერთიანობა საუბრის მსვლელობაში აღძრულ საკითხებზე.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საზეიმო პლენუმზე კომკავშირს გადაეცა ლენინის ორდენი

უდიდესი სიხარულის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი დიდი მადლობის გრძნობით შეხვდა ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა ცნობას კომკავშირის დაჯილდოების შესახებ მეხუთე ორდენით — ლენინის ორდენით.

1 მარტს საბჭოთა ახალგაზრდობის მრავალმილიონიანი არმიის საუკეთესო წარმომადგენლები შეიკრიბნენ კრემლის დიდ სასახლეში საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საზეიმო პლენუმზე, რომელიც მიეძღვნა ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირისათვის ლენინის ორდენის გადაცემას.

დარბაზში არიან საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრები, რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, საბჭოთა არმიის კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, დელეგატები იმ კომკავშირელების და ახალგაზრდობის ახლახან დამთავრებული სრულიად საკავშირო შეკრებისა, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაში, მოსკოვის კომკავშირული აქტივი. ესწრება ბევრი ყოფილი კომკავშირელი, რომლებიც ახლა პარტიულ, სახელმწიფო, საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოზე არიან.

სტუმრებს შორის არიან მოძმე ქვეყნების — ჩინეთის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, უნგრეთის, პოლონეთის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალგაზრდობის წარმომადგენლები, აგრეთვე ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტის წარმომადგენლები.

პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, მ. ა. სუსლოვი, გ. კ. ჟუკოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, დ. ტ. შეპილოვი, ნ. ი. ბელიაევი, პ. ნ. პოსპელოვი. ახალგაზრდობა ხანგრძლივი ტაშით ხვდება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს.

დარბაზში შემოაქვთ საკავშირო ალკკ დროშა. ყველა დამსწრე ფეხზე დგება ერთი გრძნობით გამსჭვალული.

ტაშის გრიალში ირჩევენ საპატიო პრეზიდიუმს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე კითხულობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას იმის შესახებ, რომ ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით კომკავშირელთა და საბჭოთა ახალგაზრდობის დიდი დამსახურებისათვის სოციალისტურ მშენებლობაში, თავდადებული და ნაყოფიერი შრომისათვის ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაში.

პრეზიდიუმის მაგიდასთან დროშით მიდის საკავშირო ალკკ დელეგაცია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა დელეგაციას გადასცა ლენინის ორდენი. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. ნ. შელეპინმა მთავრობის მაღალი ჯილდო მიაბნია დროშას. ქუხს ოვაცია. ასე გგონია, ამ წუთებში გაიწია კრემლის დიდი სასახლის კედლებმა და მთელი ჩვენი გაბედული მამაცი ახალგაზრდობა, რომელიც მზად არის პარტიის მოწოდებით შეასრულოს ყოველი საგმირო საქმე, ესწრება აქ, ტაშს უკრავს პლენუმის მონაწილეებთან ერთად.

ახალგაზრდობას ვრცელი სიტყვით მიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა, რომელსაც მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

მეყამირეთა სახელით, მთელი სოფლის ახალგაზრდობის სახელით მაღალი ჯილდოსათვის საბჭოთა მთავრობას, კომუნისტურ პარტიას მადლობას უძღვნის სოციალისტური შრომის გმირი ი. რუდსკოი. წარმოების წარჩინებული მუშაკი, საპატიო მეშახტე ა. კულიკი ამბობს, რომ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის ახალგაზრდა თაობა უდიდესი სიხარულით შეხვდა ცნობას კომკავშირის — კომუნისტური პარტიის ერთგული თანაშემწის დაჯილდოების შესახებ. აღფრთოვანებული სიტყვები წარმოთქვეს ბრატსკის ჰესის მშენებლობის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირმა გ. კაიგოროდცევმა, მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტმა ტ. სამოილენკომ, სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლემ ვ. ნიტიევსკაიამ, სერჟანტმა ა. ლარინმა.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. ნ. შელეპინმა საზეიმო პლენუმის მონაწილეთა სახელით, საკავშირო ალკკ 18 მილიონი წევრის სახელით მხურვალე მადლობა უძღვნა კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას იმისათვის, რომ მათ მაღალი შეფასება მისცეს კომკავშირს, მთელი ჩვენი ახალგაზრდობის დამსახურებას სოციალისტურ მშენებლობაში, ყამირის წარმატებით ათვისებაში. მან მადლობა უძღვნა ამხ. კ. ე. ვოროშილოვს გულთბილი სიტყვებისათვის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის შესახებ.

კომუნისტურმა პარტიამ, ამბობს ამხ. შელეპინი, საბჭოთა ახალგაზრდობას უჩვენა დიადი და ნათელი მიზანი — კომუნიზმი. სწორედ ეს არის ჩვენი ახალგაზრდობის ბედნიერება. საბჭოთა ახალგაზრდობა აქტიურ მონაწილეობას იღებს საბჭოთა ხალხის ყველა ისტორიულ საქმეში. იგი თავის ყველაზე ნათელ იმედებს, თავის მომავალს უკავშირებს სამშობლოს კეთილდღეობას, კომუნიზმის გამარჯვებას. პატიოსნად ემსახუროს სოციალისტურ სამშობლოს, კომუნიზმის საქმეს, პირველი გამოეხმაუროს პარტიის მოწოდებას—აი რა გახდა კომკავშირის ცხოვრების კანონი. კომკავშირის დაჯილდოება ლენინის ორდენით არის არა მარტო მაღალი შეფასება მისი საქმიანობისა, აღიარება მისი დამსახურებისა. ეს ამავე დროს არის პარტიისა და ხალხის განაწესი — ვიაროთ სულ წინ და წინ, ახალი საბრძოლო საქმეებისათვის. კომკავშირმა კვლავაც უნდა დარაზმოს ახალგაზრდობა პარტიისა და მთავრობის დავალებათა აქტიური შესრულებისათვის, ყოველდღიური გულმოდგინე შრომისათვის, ცოდნის, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის დაუფლებისათვის.

დასასრულ ამხ. შელეპინმა განაცხადა, რომ ლენინური კომკავშირი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმება კომუნისტური პარტიის გარშემო, კვლავაც გაჰყვება პარტიას, მხარს დაუჭერს მის პოლიტიკას, პირნათლად შეასრულებს მის ყოველ დავალებას.

სხდომის დროს ყოველ ათ წუთში იცვლებოდა საპატიო ყარაული საკავშირო ალკკ დროშასთან. ვახტზე იდგნენ — ახალგაზრდა მუშები და კოლმეურნეები, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრები, სტუდენტები, სპორტსმენები, მოსწავლეები, კომკავშირული მუშაკები.

ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინურ კომუნისტურ კავშირს საბჭოთა კავშირის ნორჩ პიონერთა სახელით მიესალმა მოსკოველ პიონერთა დელეგაცია. გულთბილად, გულმხურვალედ ჩაიარა ამ შეხვედრამ. ნორჩმა ლენინელებმა ყვავილების თაიგულები მიართვეს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, პრეზიდიუმის წევრებს.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საზეიმო პლენუმის მონაწილეებმა ერთსულოვნად დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

პარტიული ჰიმნით „ინტერნაციონალით“ დამთავრდა ახალგაზრდობის აღმაფრთოვანებელი, დაუვიწყარი კრება. (საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საზეიმო პლენუმის მონაწილეებისაგან

ამ საზეიმო დღეს, როდესაც კომკავშირს გადაეცა ლენინის ორდენი, მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი მიპყრობილია ჩვენი გრძნობები და ფიქრები. კომკავშირელების, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის სახელით მხურვალედ, სულით და გულით მადლობას გიძღვნით მაღალი ჯილდოსათვის.

სიტყვას ვაძლევთ პარტიასა და მთავრობას, რომ კომკავშირი, მთელი ჩვენი ახალგაზრდობა კვლავაც ასეთივე ენერგიით გამოეხმაურება მათ მოწოდებებს. ჩვენთვის, კომკავშირელებისათვის, საბჭოთა ქალიშვილებისა და ჭაბუკებისათვის, არა არის რა უფრო წმიდა, უფრო მაღალი და ძვირფასი, ვიდრე პარტიის ნება, მისი ნდობა.

კომკავშირი დაჯილდოებულია ღირსშესანიშნავ დღეებში: ახლოვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავი. ამ წლების განმავლობაში ჩვენმა სამშობლომ განვლო სახელოვანი გზა, გახდა ძლევამოსილი სოციალისტური სახელმწიფო. საბჭოთა ხალხის ყველა ისტორიულ საქმეში აქტიურად მონაწილეობდა ლენინური კომკავშირი. კომუნისტური პარტია სიყვარულით ზრდიდა და აწრთობდა მას, მზრუნველობით წარმართავდა ახალგაზრდობის ენერგიას ახალი, მსოფლიოში ჯერ არნახული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისათვის. სამშობლოს თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლებსა და შრომაში შეიქმნა და განვითარდა ლენინური კომკავშირის საუკეთესო ტრადიციები და უწინარეს ყოვლისა — მისი უანგარო ერთგულება კომუნისტური პარტიისადმი, მზადყოფნა შეასრულოს პარტიის ყოველი დავალება. კომკავშირი მუდამ მიჰყვებოდა და მიჰყვება პარტიას, როგორც მისი ერთგული შვილი და საიმედო თანაშემწე. კომკავშირის ცხოვრების კანონი გახდა: თუ პარტია ამბობს, საჭიროაო, კომკავშირი უპასუხებს — არის!

კომუნისტურმა პარტიამ მოუწოდა კომკავშირელებს, ახალგაზრდობას წასულიყვნენ ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად. პარტიის სიტყვამ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა ახალგაზრდობის გულში.

კომუნისტურმა პარტიამ დასახა გრანდიოზული ამოცანა — ავითვისოთ ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის, შორეული ჩრდილოეთის აურაცხელი ბუნებრივი სიმდიდრე, ავაგოთ იქ ახალი ქარხნები, რკინიგზები, მძლავრი ელექტროსადგურები, გავადიდოთ ქვანახშირის ამოღება დონბასში. და კვლავ დაიძრნენ კომკავშირული ეშელონები. მოკლე ვადაში ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ რაიონებში, დონბასში წავიდა 200 ათასზე მეტი ახალგაზრდა პატრიოტი. გაივლის ცოტა ხანი და აღიმართება ქარხნების კორპუსები ციმბირის ტაიგის ტყეებში, თოვლიან იმიერპოლარეთში, აინთება მძლავრი ჰიდროელექტროსადგურების ნათურები ციმბირის წყალუხვ მდინარეებზე. ქვანახშირს მოგვცემს 36 ახალი კომკავშირული შახტი დონბასში. ახალგაზრდა პატრიოტები აგებენ რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხნებს და აშენებენ ხეხილის ბაღებს, შეფობას უწევენ მეცხოველეობის ფერმებს და ხელს უწყობენ გოლოდნაია სტეპის გარდაქმნას ნაყოფიერ ველად. ვინ მოთვლის ჩვენი დროის ახალგაზრდა თაობის ყველა პატრიოტულ შრომითს საქმეებს.

კომკავშირელები, ახალგაზრდობა მიდიან იქ, სადაც სიძნელეა, სადაც საჭიროა მათი ახალგაზრდა, ძლიერი ხელი, მგზნებარე გული. სწორედ ამიტომ ვართ ჩვენ კომკავშირელები, სწორედ ამიტომ ვატარებთ ლენინელთა საპატიო სახელს! ყამირზე, მეექვსე ხუთწლედის ახალშენებებზე სიძნელეებთან ბრძოლაში იწრთობა ჩვენი ხასიათი, მტკიცდება ნებისყოფა, იზრდება ჩვენი კომუნისტური შეგნება. ყველა ამ საქმეში მკაფიოდ იჩენს თავს ჩვენი ახალგაზრდობის საუკეთესო თვისებები — მისი მაღალი პატრიოტიზმი, თავდადება, პარტიისადმი, თავისი ხალხისადმი ერთგულება.

კომკავშირის დაჯილდოება ლენინის ორდენით არის საკავშირო ალკკ საქმიანობის მაღალი შეფასება, მისი საყოველთაო-სახალხო დამსახურების აღიარება. ამავე დროს ეს არის პარტიისა და ხალხის განაწესი — დავიწყოთ ახალი გმირული საქმეები. ჩვენ ვიცით — ბევრი ნაკლი გვაქვს, ვცდილობთ ეს ნაკლოვანებები აღმოვფხვრათ. კომკავშირელებმა იციან, რომ მომავალი დღეს კეთდება ყველა საბჭოთა ადამიანის მეცადინეობით. რაც უფრო მეტ ქვანახშირსა და ნავთობს ამოვიღებთ, რაც უფრო მეტ თუჯსა და ფოლადს გამოვადნობთ, რაც უფრო მეტ პურის მოსავალს მოვიყვანთ და მეტ რძეს მივიღებთ, მით უფრო ახლო იქნება სანუკვარი მიზანი — კომუნიზმი. ამ მიზნისაკენ გზას გვიჩვენებს კომუნისტური პარტია.

ჩვენი გული გამსჭვალულია დიდი, უდიდესი რწმენით პარტიის დიადი საქმისადმი. პირობას ვდებთ კვლავაც თავდადებული შრომით გავამრავლოთ ჩვენი ხალხის დიდება, განვამტკიცოთ სოციალისტური სამშობლოს ძლიერება. მუდამ მტკიცედ გვეხსომება დიდი ლენინის ანდერძი იმის შესახებ, რომ კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი უნდა იყოს დამკვრელი ჯგუფი, რომელიც ყოველ მუშაობაში უწევს თავის დახმარებას, იჩენს თავის ინიციატივას, თაოსნობას.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საზეიმო პლენუმი სიტყვას აძლევს კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა ხალხს, რომ მაღალი ჯილდოს პასუხად კომკავშირელები, ყველა საბჭოთა ქალიშვილი და ჭაბუკი კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმავენ თავიანთ რიგებს მშობელი დედის — კომუნისტური პარტიის გარშემო და მთელ თავიანთ ძალღონესა და ენერგიას მოახმარენ კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლას.

გაუმარჯოს ძლევამოსილ საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და მის მებრძოლ შტაბს — ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!

სრულიად საკავშირო შეკრება კომკავშირელებისა და ახალგაზრდობისა, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაში

1 მარტს კრემლის დიდ სასახლეში მუშაობას განაგრძობდა სრულიად საკავშირო შეკრება კომკავშირელებისა და ახალგაზრდობისა, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაში.

დელეგატები გულმოდგინედ განიხილავდნენ უმნიშვნელოვანეს ამოცანებს, რომლებიც დასახეს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ყამირი და ნასვენი მიწების შემდგომი ათვისებისათვის, მარცვლეულის წარმოების გადიდებისათვის, ილაპარაკეს იმაზე, თუ როგორ გაართვან უკეთ თავი ამ დიდ და საპატიო საქმეს.

ახალი მოსავლის ბედისათვის ზრუნვით იყო გამსჭვალული ალტაის მხარის უგლოკის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირის, სოციალისტური შრომის გმირის **ი. სემენიუტას** სიტყვა. ამ ბრიგადამ ყამირზე მუშაობის პირველ წელს მოხნა 5 ათასი ჰექტარი ხელუხლებელი მიწა და ჰექტარზე ასი ფუთი მოსავალი მიიღო. ახლა ტრაქტორისტები სავსებით მოემზადნენ საგაზაფხულო თესვისათვის — ბრიგადის მინდვრებში მოეწყო თოვლის შეკავება, შეაქვთ სასუქები.

ჩრდილოეთ ყაზახეთის ოლქის მარცვლეულის მეურნეობის „ძერჟინსკის“ მემინდვრეთა სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა **ი. ხარჩენკომ** თქვა, რომ მათს მეურნეობას პირველი ადგილი უკავია ოლქში, მაგრამ ახალგაზრდობამ გადაწყვეტა არ დასჯერდეს მიღწეულს, ებრძოლოს ნაკლოვანებებს. ი. ხარჩენკო ამბობს, რომ საბჭოთა მეურნეობაში უნაყოფოდ იხარჯება სახსრები მშენებლობაზე. მშენებლებს ჯერ ერთი ობიექტი არა აქვთ დამთავრებული და მეორეს იწყებენ. ი. ხარჩენკომ განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო საველე ბანაკების შექმნას, რომლებიც კარგად უნდა იყოს მოწყობილი, სადაც უნდა შეიძლებოდეს მუშაობა ზამთრის პირობებში.

დელეგატებმა ინტერესით მოისმინეს ნოვოსიბირსკის ოლქის პროლეტარსკის საბჭოთა მეურნეობის მექანიკოსის **კ. კონოვას** გამოსვლა. ორ წელიწადში სავსებით ანაზღაურდა მეურნეობის ორგანიზაციისათვის გაწეული ხარჯები. მეურნეობამ შარშან სახელმწიფოს მისცა მილიონნახევარ ფუთზე მეტი პური. კ. კონოვა ამბობს, რომ საბჭოთა მეურნეობაში არ ჰყოფნით ავტომანქანები, ლაპარაკობს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტის სიძნელეებზე, იმაზე, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს სამედიცინო მომსახურება ყამირ მიწებზე, რომ დამაკმაყოფილებლად ვერ მუშაობს სამომხმარებლო კოოპერაცია.

საბჭოთა მეურნეობა „ლენინოი“, რომელიც 1954 წლის მარტში შეიქმნა კუსტანაის ველზე, თქვა დირექტორმა **ნ. ა. სერგეევმა**, 26 ათასი ჰექტარი ყამირი მოხნა. საბჭოთა მეურნეობა გადაიქცა მსხვილ მრავალდარგოვან მეურნეობად, რომელსაც აქვს მეცხოველეობის ფერმები. ბევრი პირუტყვი და ფრინველი მუშებსაც ეკუთვნით. ველიან ყაზახეთში დამკვიდრდნენ ახალმოსახლეები. ყველა მათგანს ყავს ოჯახი, აქვს სახლი, საკუთარი მეურნეობა. ჩვენი ზრდის ტემპებს, განაცხადა ამხ. სერგეევმა, აფერხებს ის, რომ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტრო წლითიწლობით ვერ ასრულებს პროგრამას. უნდა ვიფიქროთ იმაზეც, რომ გავადიდოთ სათესი მანქანებისა და კომბაინების რიცხვი, რადგან მათი დატვირთვა ჩვენს პირობებში მეტად დიდია.

სამ წელიწადში ნათესი ფართობი პავლოდარის ოლქის სემიიარსკაიას მტს-ის ზონაში შვიდჯერ და მეტად გადიდდა, თქვა სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა **ზ. მელიხოვმა**. ამ ხანში ოთხჯერ გადიდდა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარება. ველიან, გვალვიან ოლქში დიდია მარცვლეულის დანაკარგი ძლიერი ქარის გამო. აქ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ტყესაცავი ზოლების გაშენებას, კულისებიან ნათესებს. ზ. მელიხოვმა მოთხოვნები წაუყენა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს. მან განაცხადა, რომ მტს-ი ნაკლებად იღებს თვის ასაღებ ტექნიკას. ამის შედეგად არ სრულდება ბალახის თიბვის გეგმა, არ მტკიცდება კოლმეურნეობათა საკვები ბაზა.

დელეგატების ტაშის გრიალში ზ. მელიხოვმა ყამირის ერთი გამომცხვარი პური მიართვა პრეზიდიუმს.

ახალგაზრდობის სახელით, რომელიც გოლოდნაია სტეპის მიწების ათვისებას ეწევა, გამოვიდა **ი. ხოროშკოვი** — კაირაკ-ყუმის ჰესის მშენებლობის ოსტატი. ველის ნაყოფიერი მიწა წყალს რომ მიიღებს, ნედლი ბამბის უხვ მოსავალს მოგვცემს. ჩვენ ძალღონეს არ დავიშურებთ ამ ამოცანის შესასრულებლად, თქვა ი. ხოროშკოვმა. მან მოუწოდა ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ახალგაზრდობას მიიღოს მონაწილეობა გოლოდნაია სტეპის დაპყრობაში.

ახალგაზრდა მეყამირეებს, მთელ საბჭოთა ახალგაზრდობას გულთბილად მიესალმნენ უცხოეთის ახალგაზრდათა დელეგაციების ხელმძღვანელები: უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა — **შ. შამოდი**, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისა — **ვ. ვეტრა**, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა — **ვ. პრანდოტა**, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა — **ხ. მიულერი**, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუ

საბჭოთა მხატვრების პირველ სრულიად საკავშირო ყრილობაზე

1 მარტს საბჭოთა მხატვრების პირველი სრულიად საკავშირო ყრილობა მუშაობას განაგრძობდა კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში. დილის სხდომის თავმჯდომარე ბელორუსიის სახალხო მხატვარი ი. ახრემჩიკი სახელმწიფო ფერწერის შესახებ თანამოხსენებისათვის სიტყვას ძლევს რუსეთის ფედერაციის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ი. სერებრიანის.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, ამბობს იგი, ფერწერა ნამდვილად მასობრივი გახდა, იგი მილიონობით მნახველმა გაიცნო და შეიყვარა. საბჭოთა მხატვარი ახალ სოციალისტურ საზოგადოებაში შევიდა როგორც ხალხის ერთგული მსახური.

თანამოხსენებაში მოცემულია საბჭოთა ხელისუფლების წლებში სოდიზგო და მონუმენტური ფერწერის განვითარების ღრმა ანალიზი. ხაზგასმით არის ნათქვამი, თუ რა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას ყველა რაგალრიცხოვანი დაქსაქსული საზოგადოების საბჭოთა მხატვრების კავშირად გაერთიანების შესახებ. ამით შეიქმნა იმის პირობები, რომ შეთანხმებულად იმუშაოს ყველა მხატვარმა, რომლებიც ერო დიდ სახალხო საქმეს აკეთებენ.

ი. სერებრიანი შემდეგ ამბობს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ ყველა წანამძღვარი შექმნა სოციალისტური დემოკრატიზმის უფრო ფართო განვითარებისათვის, იდეოლოგიური მუშაობის დონის ამაღლებისათვის. მნიშვნელოვნად გაძლიერდა მხატვართა აქტივობა საარსებო შემოქმედებითი პრობლემების განხილვაში. საბჭოთა მხატვრები, ხელოვნებათმცოდნეები დისკუსიებზე და პრესაში გამოიქომდნენ ერთსულოვან რწმენას, რომ უცილობლივ ხალხურობისა და პარტიულობის პრინციპები ხელოვნებაში. ერთმანეთის მხოლოდ იმაში ედავებოდნენ, თუ რა უნდა იგულისხმებოდეს ამ პრინციპებით და როგორ უნდა განხორციელდეს ისინი შემოქმედებითს სფეროში.

თანამოხსენებაში დიდი ყურადღება ეცალა ნაკლოვანებებს. აქ აღნიშნულია, რომ ჩვენი ფერწერის თანამედროვე მდგომარეობა მნიშვნელოვნად ჩამორჩა მოთხოვნებს, რომლებსაც მას უყენებს საბჭოთა სოციალისტური საზოგადოებისა და მისი კულტურის განვითარების დიდი სვლა.

მაგრამ სერიოზული შეცდომების აშკარა აღიარება ჩვენი სისუსტის ნიშანი როდია, ამბობს მოგზსენებელი. საერთოდ მხატვრები სხვადასხვა დროს სხვადასხვა ხარისხის მხატვრულ ფასეულობებს ქმნიდნენ. ისინი დიდ მოქალაქეობრივ სარბენ აკეთებენ და კვლავაც აკეთებენ. მოხსენებაში დასახელებულია სხვადასხვა ეროვნების უაღრესად თვალსაჩინო საბჭოთა მხატვრების ათობით გვარი. მათ შორის ნ. კასატკინი, ი. ბორდსკი, ბ. ოგანესონი, ა. გერასიმოვი, ა. დეინეკა, უ. ტანსიკბაევი, ე. კალნინი, ა. ფოგაკუნენკო, ს. გერასიმოვი, გ. რიაბუსკი, მ. გრეკოვი, პ. კონჩალოვსკი და სხვები. მათს ნაწარმოებებში უაღრესი სისრულით არის ასახული ახალი სოციალისტური დამოკიდებულება შრომისადმი, საზოგადოებრივი მოვალეობის ახალი გაგება, სოციალისტური მორალი, ახალი ყოფაცხოვრება, პატრიოტიზმის კეთილშობილური თვისება, რომელიც განსაკუთრებული ძალით გამომჟღავნდა წარსული ომის წლებში.

შეეხო რა სახვითი ხელოვნების და კერძოდ ფერწერის განვითარების შემფერხებელ მიზეზებს, ი. სერებრიანმა აღნიშნა, თუ რა ზიანს აყენებს ფერმწერთა შემოქმედებას ზვრილმანი ადმინისტრაციული მეურვეობა, რომელსაც საერთო არაფერი აქვს საბჭოთა ხელოვნებისადმი პარტიულ ხელმძღვანელობასთან. მაგრამ, ამბობს იგი, ლიტერატურისა და ხელოვნების პრობლემების განხილვის დროს გაისმის ცალკეული ხმები, რომლებიც ცდილობენ საეჭვო გახადონ ჩვენი ხელოვნებისადმი ხელმძღვანელობის პარტიული წარმართვული პრინციპები. პარტიული ხელმძღვანელობა ფუძემდებელი და წარმმართველი პრინციპია და მას ყველა პატიოსანი საბჭოთა მხატვარი უყურებს როგორც პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის მუდმივ დახმარებასა და მხარდაჭერას ისეთ ნაწარმოებთა შექმნაში, რომლებიც ამდიდრებენ ხალხს და მის კულტურას.

დასასრულ ი. სერებრიანი მოითხოვს მნიშვნელოვნად მეტი ყურადღება მიექცეს სოდიზგო და მონუმენტურ ფერწერას, განსაკუთრებით უკანასკნელს, რომელსაც საბჭოთა ადამიანების გონებასა და გრძნობებზე მასობრივი ზეგავლენის უსაზღვრო შესაძლებლობა მოეპოვება.

თანამოხსენება დამთავრდა. დარბაზში შემოდიან ქალაქ მოსკოვის პიონერები და მოსწავლეები, რომლებსაც ტაშით ეგებებიან. მათ ნორჩ მხატვართა სახელით მხურვალე სალამი გადასცეს ყრილობას და შემდგომი შემოქმედებითი წარმატებები უსურვეს საბჭოთა სახვითი ხელოვნების ოსტატებს. პიონერები და მოსწავლეები სთხოვენ მათ შექმნან მეტი ნაწარმოებნი საბავშვო თემატიკაზე, დაეხმარონ მათ ნიჭის განვითარებაში, მხატვრული გემოვნების ჩამოყალიბებაში.

შემდეგ სიტყვა თანამოხსენებისათვის „ხელოვნებათმცოდნეობისა და კრიტიკის შესახებ“ ეძლევა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს მ. ალპატოვს.

საბჭოთა ხელოვნებათმცოდნეობამ და კრიტიკამ, ამბობს იგი, განვლო გრძელი გზა, რომლის ძირითადი ეტაპები ემთხვევა საბჭოთა ხელოვნების განვითარების ეტაპებს. მ. ალპატოვი მოგონებს ყრილობას საბჭოთა ხელოვნებათმცოდნეობისა და მხატვრული კრიტიკის ჩამოყალიბების წლებს, როცა გაჩაღებული იყო ბრძოლა სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებისათვის. პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1932 წლისა და 1946 წლის დადგენილებებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ხელოვნების და ხელოვნებათმცოდნეობის განვითარებისათვის. ეუფლაური სოციალისტიზაციისა და უიდეობის ნამოვლინებათა წინააღმდეგ მამაცურად და ეფექტურად ებრძოლნენ. მოუწოდებდნენ მხატვრებსა და კრიტიკოსებს აქტიური მონაწილეობა მიეღოთ სოციალიზმისათვის ბრძოლაში, განემტკიცებინათ ხელოვნების კავშირი თანამედროვე ცხოვრებასთან, მიეახლოებინათ იგი მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის.

დღეს მრავალმხრივი მუშაობა წარმოებს ხელოვნებათმცოდნეობის დარგში. შემოქმედებითი კავშირების კრიტიკის სექციებში მუდამ განიხილავენ გამოფენებს, იმართება დისკუსიები. ხელოვნებათმცოდნეობის განვითარებას ბევრად უწყობს ხელს უდიდესი მხატვრული სიმდიდრე, რომელიც თავმოყრილია ეროვნულ მუზეუმებში. დაეყრდნენ რა ლენინის მოძღვრებას კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, საბჭოთა მეცნიერებმა გადასინჯეს და გადაფასეს რუსული მხატვრული მემკვიდრეობა. ახლებურად რომ შეხედეს ამ მემკვიდრეობას, მათ აღმოაჩინეს უამრავი მხატვრული ფასეულობანი იქ, სადაც რევოლუციამდე ხედავდნენ მხოლოდ პროვინციულ ველურობას, მხოლოდ უცხო ბელენის კვალს. ძვირფასი წვლილია შეტანილი ხალხთა მხატვრული მემკვიდრეობის შესწავლაში ეროვნულ რესპუბლიკებშიც.

შემდეგ მ. ალპატოვი ეხება ხელოვნებათმცოდნეობისა და კრიტიკოსების მუშაობის ბეჯერ ნაკლს, იგი ამბობს, რომ საჭიროა დაძლეულ იქნას პიროვნების კულტის შედეგები. იერნებს რა ამ აზრს, რომ საბჭოთა ხელოვნებათმცოდნეები გაბედულად ჩაეერივნენ დღევანდელი დღის საკითხებში, თანამშრომლენელი პროტესტს აცხადებს თანამედროვეობის ეულგარიზატორული ვიგების წინააღმდეგ, როცა ამ თანამედროვეობას განსაზღვრავს მხოლოდ სიუჟეტი და არა იდეები, რომლებსაც ხელოვნება შეიცავს. ხელოვნებათმცოდნეობაში მნიშვნელობა აქვს არა მარტო საგანს, არამედ იმასაც, თუ რა თვალსაზრისით განიხილავენ მას.

კრიტიკა, შენიშნავს მ. ალპატოვი, ამჯობინებს თქვას მხოლოდ ის, რის შენიშვნაც ხელოვნებაში შეუძლია ყველ ორნულ საზრიან ადამიანს. ამ აზრით მეტ წილ შემთხვევებში დამახასიათებელია უფერული და უშნაბარი აღწერითი კრიტიკა.

ყრილობისწინა დისკუსიამ ცხადყო, რომ საბჭოთა მხატვრებისა და კრიტიკოსების დიდი უმრავლესობა სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე დგას.

ყველა ჩვენგანი, საბჭოთა ხელოვნებათმცოდნენი, მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის პოზიციებზე ვდგავართ. ამ საკითხში ჩვენ შორის უთანხმოება არ არის და არც შეიძლება იყოს.

მ. ალპატოვი ანალიზს უკეთებს მხატვრული კრიტიკის სტატიების ხასიათს, დიდ ყურადღებას აქცევს იმ საკითხს, რომ საჭიროა მხატვრული ნაწარმოების ღრმავვებული ანალიზი.

ამით დამთავრდა დილის სხდომა.

1 მარტს საბჭოთა მხატვრების ყრილობის საღამოს სხდომას თავმჯდომარეობდა უზბეკეთის სსრ სახალხო მხატვარი, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრი-კორესპონდენტი ურალ ტანსიკბაევი.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ყრილობას ესწრება უცხო ქვეყნების მხატვართა დიდი ჯგუფი. სხდომაზე ჩინელი მხატვრების სახელით დამსწრეთ, ხოლო მათი სახით ყველა საბჭოთა მხატვრის მისასალმებელი სიტყვით მიმართა ჩინეთის მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ მოქანდაკე ლიუ კაი-ციუმ. შემდეგ მან წაიკითხა ჩინეთის მხატვართა კავშირის მისასალმებელი წერილი.

შემდეგ თანამოხსენება პოლიტიკური პლაკატის შესახებ გააკეთა რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ვ. ივანოვმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა პოლიტიკური პლაკატი, რომელიც რევოლუციამ წარმოშვა, თავისი არსებობის დასაწყისშივე ბოლშევიკური აგიტაციის მძლავრი სამუალება გახდა.

განსაკუთრებით დიდი ნახტომი გაკეთა თავის განვითარებაში პლაკატმა დიდი სამამულო ომის წლებში. იგი იყო ერთ-ერთი საშუალება საბჭოთა ხალხის მობილიზაციისა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. ომის წლებში საბჭოთა პლაკატები და „საკდესის სარკმლები“ დიდი პოპულარობით სარგებლობდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც ისინი არა მარტო ექსპონირებული იყო გამოფენებზე, არამედ აგრეთვე ხელახლა იცემოდა.

პლაკატების გამოცემას სსრ კავშირში უდიდესი გაქანება მიეცა, ამბობს ვ. ივანოვი, მარტო უკანასკნელი ექვსი წლის მანძილზე, საბჭოთა კავშირის წიგნის პალატის მონაცემებით, ჩვენს ქვეყანაში გამოიცა 32 ათასზე მეტი სახელწოდების სხვადასხვა პლაკატი 665 მილიონი ცალი საერთო ტირაჟით.

ვ. ივანოვმა გააშუქა პლაკატის სპეციფიკისა და პლაკატისტის შემოქმედების საკითხი, შეეხო ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს ორგანიზაციულ საკითხებს.

საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალებისგან ყრილობას მიესალმა არმიის გენერალი ვ. კ. მალინდინი.

შემდეგ სამანდატო კომისიის მოხსენება გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ი. ტიტკოვმა.

სხდომის მონაწილეებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს იმ მხატვართა ხსოვნას, რომლებიც დიდი სამამულო ომის წლებში დაიღუპნენ.

ყრილობის პრეზიდიუმის სახელით სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მისალმების პასუხად სიტყვა წარმოთქვა მოღვაწეთის სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ლ. დუბინოვსკიმ.

რუსეთის სფსრ სახალხო მხატვრის ნ. ეუკოვის ავადმყოფობის გამო მისი თანამოხსენება გრაფიკის შესახებ წაიკითხა რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ი. ტიტკოვმა.

* * *

ყრილობის სახელზე ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან და უცხო ქვეყნებიდან მოდის წერილები, რომლებშიც წარმატებას უსურვებენ ყრილობას მის მუშაობაში, ახალ მიღწევებს უსურვებენ მხატვრებს სახვითი ხელოვნების განვითარებაში. დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, საბჭოთა სსრ კულტურის სამინისტროს, უკრაინის, ლენინგრადის, ხაბაროვსკის მხარის, ამურისა და სახალინის ოლქების მისალმებებს, მწერალ მ. შოლოხოვის, გამოჩენილი უნგრელი მოქანდაკის ე. შტრობლის მისალმებებს.

ყრილობა მუშაობას განაგრძობს. (საკდესი).

6.104 ლიტრი რძე თვითეული ძროხიდან

გაგრის მებოსტნეობისა და მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის ფერმაში ჯერ კიდევ გამოუცდელმა გოგონამ ეკატერინე ლეშჩევამ 1955 წლის შემოდგომაზე დაიწყო მუშაობა. არც ისე ადვილი იყო 11 ძროხის მოვლა. მიუხედავად ამისა, მან თავიდანვე ენერგიულად მოკიდა საქმეს ხელი, საფუძვლიანად შეისწავლა მოწინავე მეცხოველეთა გამოცდილება, სწრაფად დაეუფლა წველის ტექნიკას, შეეგუა მექანიზებულ ფერმაში დაწესებულ მტკიცე რეჟიმს.

მას შემდეგ ცოტა დრო გავიდა, მაგრამ ეკატერინე ახლა უკვე კარგი მწველავია. მეცხოველეობაში გასულ სამეურნეო წელს ეკატერინეს აღებული ჰქონდა ვალდებულება მოსავლელად მიჩენილი 11 ძროხიდან საშუალოდ თვითეულზე მიეღო 5 ათასი კილოგრამი რძე.

— ეს ჩემი პირველი ვალდებულება იყო, — გაანაცხადა საუბარში ე. ლეშჩევამ, — ამიტომ მთელი ენერგიით ვმუშაობდი პირობის გასაღდებლად. მჯეროდა, რომ ერთ ძროხაზე 5 ათასი კილოგრამი რძის მიღება ძნელი იყო. მაგრამ არ შევრცხვენილვარ კოლექტივის წინაშე.

მოწინავე მწველავმა ეკატერინე ლეშჩევამ ნაკისრი ვალდებულება გადაჭარბებით გაანაღდა. საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღო 6.104 კილოგრამი რძე.

მეცხოველეობაში ახალი სამეურნეო წლის დაწყებიდანვე ამხ. ლეშჩევას უკეთესი წარმატებები აქვს. ოთხ თვეში ერთ ძროხაზე მიიღო 200 კილოგრამით მეტი რძე, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. ამხ. ლეშჩევა წელს იბრძვის იმისათვის, რომ თვითეულ ძროხაზე მიიღოს 6.200 კილოგრამი რძე.

ახლა მოწინავე მწველავის ე. ლეშჩევას გამოცდილებას სხვებიც ეცნობიან. მისი მუშაობის მეთოდებზე ხშირად შეხვდებით წერილებს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში.

ამას წინათ ჟურნალ „ოგონიოკის“ ერთ-ერთ ნომერში ეკატერინეს სურათი დაიბეჭდა. ამით მან მრავალი შორეული მეგობრები შეიძინა. მას წერილს სწერენ მეცხოველეები ყამირი მიწებიდან, ჯარისკაცები შორეული აღმოსავლეთიდან, ჟურნალისტები პოლონეთიდან, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან.

შორეული მეგობრები ბიჭვინთელ გოგონას ულოცავენ მოპოვებულ წარმატებას და სთხოვენ გაუზიაროს გამოცდილება.

„მე გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების წევრი ვარ, — სწერს ეკატერინეს ჰელმუთ კვოზდორფი დრეზდენის ოლქის ქ. ფრაიტალდან,— და მახარებს საბჭოთა ადამიანების მიერ მოპოვებული თვითეული წარმატება კომუნიზმის მშენებლობაში, მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში...“ ასეთი მეგობრული წერილები პირველი როდია.

ეკატერინეს სიხარულს საზღვარი არა აქვს, მის თვალებში სიხარულის ის ნაპერწკალი კიაფობს, რომელიც მუდამ ახლავს შრომისადმი უსაზღვრო სიყვარულს.

კიდევ ერთი დიდი სიხარული ეკატერინე ლეშჩევამ ახლახან განიცადა, როცა იგი ბიჭვინთის № 40 საარჩევნო ოლქში, მებოსტნეობისა და მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა და სპეციალისტთა საერთო კრებამ გაგრის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა. იმედია ეკატერინე როგორც შრომაში, ისე აქაც სასახელოდ გაამართლებს ხალხის ნდობას.

* * *

სურათზე: ბიჭვინთის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის მწველავი, გაგრის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ე. ლეშჩევა.

ტექსტი და ფოტო გ. გოგოხიასი.

ა. მ. ჯოჯუა

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

საბჭოთა აფხაზეთის 36 წლისთავი



სტალინის სახელობის მთაზე შესასვლელი კოლონადა.

1921 წლის 4 მარტი. მოსკოვი. კრემლი. ამ ღირსშესანიშნავ დღეს აქ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის სახელზე მოვიდა აფხაზეთის რევკომის ცნობა იმის შესახებ, რომ „მშრომელთა ნებით იშვა ახალი სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა — აფხაზეთი... პატარა ხალხის საბჭოთა რესპუბლიკა წითელი არმიის დიდი განმათავისუფლებელი როლის ნათელი მაგალითია და დიდი ოქტომბრის რევოლუციის მიერ პატარა ხალხების მჩაგვრელებისათვის — ყველა ქვეყნის იმპერიალისტებისა და მათი ლაქიების — სოციალგამყიდველებისათვის გაწნულ ახალ სილას წარმოადგენს“.

ამ დღეს სოხუმის თავზე ამაყად აფრიალდა ძლევამოსილი ალისფერი დროშები. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდი რუსი ხალხის და მამაცი წითელი არმიის ძმური დახმარებით აფხაზეთის მშრომელებმა დაამხეს ხალხისათვის საძულველი მენშევიკების — იმპერიალიზმის საზიზღარი ლაქიების ბატონობა და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება.

აფხაზეთის მშრომელები, საბჭოთა საქართველოს მშრომელთა ძმურ ოჯახში, დაადგნენ მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეებით გაშუქებულ გზას და მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად ამ გზით წავიდნენ წინ კომუნიზმისაკენ.

საბჭოთა ხელისუფლების 36 წლის განმავლობაში აფხაზეთი მეფის რუსეთის ჩამორჩენილი კოლონიური განაპირა მხარიდან გადაიქცა აყვავებულ ავტონომიურ რესპუბლიკად, რომელსაც აქვს დიდად განვითარებული სოციალისტური მრეწველობა, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა და ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური მზარდი კულტურა.

რესპუბლიკაში შექმნილია მძლავრი სამრეწველო ცენტრი — ტყვარჩელი, სადაც დიდი მასშტაბით ამუშავებენ ქვანახშირის საბადოებს, იზრდება და ვითარდება ენერგეტიკული მრეწველობა. მწყემსთა სადგომიდან გაიზარდა და ვითარდება ახალი სოციალისტური ქალაქი ტყვარჩელი. ფართოდ განვითარდა კვების მრეწველობა. რესპუბლიკაში ათობით მოიპოვება ფაბრიკები და ქარხნები, რომლებიც ამუშავებენ ჩაის, თამბაქოს, ხილსა და სხვა პროდუქტებს.

აფხაზეთის მშრომელებმა, რომლებიც აღფრთოვანებული არიან სკკპ XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, 1956 წელს მიაღწიეს გარკვეულ წარმატებებს მრეწველობის შემდგომ განვითარებაში. მრეწველობის გეგმა გასულ წელს შესრულდა 104 პროცენტით. აფხაზეთის ასსრ მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვებამ 1956 წელს 100-ჯერ გადააჭარბა რევოლუციამდელი პერიოდის დონეს და რამდენჯერმე — ომამდელი 1940 წლის დონეს.

აფხაზეთის მრეწველობის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა, მოსამსახურეებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საპასუხოდ, პლენუმისა, რომელმაც შეაჯამა სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების პირველი შედეგები, გააჩაღეს ბრძოლა სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისათვის, იმ ნაკლოვანებათა დაძლევისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ არის მრეწველობის მუშაობის ცალკეულ უბნებზე.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობის მეოხებით აფხაზეთში შექმნილია და ვითარდება მრავალდარგოვანი სუბტროპიკული სოფლის მეურნეობა, რომელიც ჩვენს სამშობლოს აძლევს ჩაის, თამბაქოს, ციტრუსებს, ყურძენს, ხილსა და სხვა ძვირფას კულტურებს, რომელთა ფართობი მნიშვნელოვნად გაიზარდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

განსაკუთრებით ფართოდ განვითარდა ჩაის კულტურა. გასულ წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 21 ათასი ტონა მწვანე ჩაის ფოთოლი, 6.800 ტონა მაღალხარისხოვანი სურნელოვანი აფხაზური თამბაქო, შეასრულეს ხილისა და ციტრუსების ნაყოფის დამზადების გეგმა. ამჟამად საკოლმეურნეო მინდვრებზე მუშაობს 7 მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ათობით ტრაქტორი და სხვა სრულყოფილი სასოფლო-სამეურნეო მანქანები, რევოლუციამდელ აფხაზეთში კი გლეხურ მეურნეობაში გუთანიც იშვიათად მოიძებნებოდა. წლითიწლობით იზრდება კოლმეურნეობათა საერთო ფულადი შემოსავალი, უმჯობესდება კოლმეურნეთა კეთილდღეობა. 1955 წელს 218 კოლმეურნეობიდან 102 კოლმეურნეობამ მილიონზე მეტი შემოსავალი მიიღო თვითეულმა.

მაგრამ აფხაზეთის სოფლის მეურნეობაში კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები — დაბალია ძირითადი კულტურების: ჩაის, თამბაქოს, სიმინდის მოსავლიანობა და ძალიან დაბალია საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

ამას წინათ შემდგარ აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკურ და რაიონულ თათბირებზე, აგრეთვე კოლმეურნეთა კრებებზე ჩვენი სოფლების მშრომელებმა, უხვი მოსავლის ოსტატებმა — მეჩაიეებმა, მეთამბაქოეებმა, მევენახეებმა, მეციტრუსეებმა და მეცხოველეებმა განიხილეს რა 1956 წლის მუშაობის შედეგები, ახალი სოციალისტური ვალდებულებები იკისრეს.

სამეურნეო და კულტურული მშენებლობის, აგრეთვე მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობის მკაფიო დადასტურებაა ზრდა აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო ბიუჯეტისა, რომელიც 1956 წელს ავიდა 160 მილიონ მანეთამდე, მაშინ როდესაც 1940 წელს 83,7 მილიონ მანეთს შეადგენდა.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მოსახლეობა თითქმის მოკლებული იყო საექიმო დახმარებას და ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები, მაგალითად, 1914 წელს თითო მოსახლეზე შეადგენდა მხოლოდ 2 კაპიკს წელიწადში. ახლა აფხაზეთი დაფარულია საავადმყოფოების, აფთიაქების, პოლიკლინიკების, სამშობიარო სახლების, ბაგების, ბალთა და ბავშვთა კონსულტაციების ფართო ქსელით. რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით საავადმყოფოების რაოდენობა გაიზარდა 14-ჯერ, ხოლო საავადმყოფოებში საწოლთა რაოდენობა 50-ჯერ.

აფხაზეთი განთქმულია შესანიშნავი კურორტებით. 60 სანატორიუმში, დასასვენებელ სახლში, პანსიონატში და ტურისტულ ბაზაში აფხაზეთი ყოველწლიურად სტუმართმოყვარულად იღებს 130 ათასამდე მშრომელს, რომლებიც ჩვენში ჩამოდიან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან.

აფხაზეთის მშრომელებმა უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს სახალხო განათლებისა და კულტურის დარგში. ახლა ჩვენში 415 დაწყებითი და საშუალო სკოლაა, სადაც აფხაზურ, ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე სწავლობს 61.800 ბავშვი და მასწავლებლად მუშაობს 4.600 კაცი. გარდა ამისა, არის სპეციალური საშუალო სასწავლებლები და სოხუმის ა. მ. გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი.

რევოლუციამდე აფხაზეთში პროფესიული თეატრი არ ყოფილა. ახლა კი სოხუმის სახელმწიფო თეატრში წარმატებით მუშაობენ აფხაზური და ქართული დრამატული კოლექტივები, შექმნილია აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონია, ხოლო მასთან — აფხაზეთის ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი და საესტრადო ორკესტრი, რომლებსაც დიდი წარმატება აქვთ მაყურებლებში.

წინათ აფხაზეთში იყო მხოლოდ ერთი მწერალი დ. ი. გულია, რომელიც აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელია. ახლა კი აფხაზეთის მწერალთა კავშირი აერთიანებს 30-მდე წევრს და წევრობის კანდიდატს. მწერლებმა და პოეტებმა დ. ი. გულიამ, ბ. შინკუბამ, ა. ლასურიამ, კ. ლომიამ, ი. თაბაგარმ, ბ. ... და სხვებმა ბევრი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები მისცეს ჩვენს ხალხს.

რესპუბლიკაში აფხაზურ, ქართულ და რუსულ ენებზე გამოდის მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებები, პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურა. გამოდის ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალი „ალაშარა“ და საბავშვო ჟურნალი აფხაზურ ენაზე, ალმანახი „ლიტერატურული აფხაზეთი“ ქართულ და რუსულ ენებზე და ათი გაზეთი.

ხალხის საზიზღარი მტრები, ბერიას საზიზღარი ბანდა, რომლებიც ახორციელებდნენ აფხაზი ხალხის ეროვნული კულტურის ლიკვიდაციის ხაზს, ცდილობდნენ გაეღვივებინათ შუღლი ქართველ, აფხაზ და აფხაზეთში მოსახლე სხვა ხალხთა შორის. მაგრამ საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტების ზრახვები ჩაიფუშა. სსრ კავშირის ხალხების, საქართველოს ხალხების, მათ შორის აფხაზეთის ხალხების მეგობრობა მტკიცე და სამარადისოდ ურღვევია და ვერავითარი მტერი ვერ შეარყევს ამ მეგობრობას.

აფხაზეთის მშრომელებმა ერთსულოვნად მიიღეს და მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მე-6 სესიის გადაწყვეტილებები კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხების შესახებ.

აფხაზეთის მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავიანთი მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომით ვადამდე შეასრულონ მეექვსე ხუთწლედის მეორე წლის დავალებანი და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავი აღნიშნონ ახალი წარმატებებით კომუნისტურ მშენებლობაში.

მიმდინარე წელს დიდი და პასუხსაგები ამოცანები დგას საბჭოების წინაშე, განუზომლად მაღლდება მათი ორგანიზატორული როლი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, მოსახლეობის ყოველდღიურ საჭიროებათა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში. სამწუხაროდ, ადგილობრივი საბჭოების მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ამიტომ აუცილებელია გამოვიყენოთ ყველა ფორმა და საშუალება საბჭოების მთელი მუშაობის გამოცოცხლებისათვის, მასებთან მათი კავშირის განმტკიცებისათვის. სულ რამდენიმე დღე გვაშორებს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეს — 17 მარტს. აფხაზეთის ყველა კუთხეში ფართოდ არის გაჩაღებული საარჩევნო კამპანია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ყოველთვის ძმდინარეობს როგორც საბჭოთა დემოკრატიის მკაფიო დემონსტრაცია მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით.

აფხაზეთის ასსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებულია და საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ რეგისტრირებულია 2.861 კაცი. ესენი არიან მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. დამახასიათებელია, რომ ამ საარჩევნო კამპანიაში დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებულთა შორის უმრავლესობას, სახელდობრ 1.818 კაცს, შეადგენენ მუშები და კოლმეურნე გლეხები და 1.006 ქალია. ესენი არიან კომუნისტური პარტიის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული ადამიანები, და დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ისინი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავიანთ ძალასა და ენერგიას მოახმარენ კომუნისტური მშენებლობის იმ პროგრამის განხორციელებას, რომელიც მოცემულია სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებში.

უეჭველია, რომ აფხაზეთის ასსრ მშრომელები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწევენ ახალ წარმატებებს და ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

გაგრის ახალი კინო-თეატრი.

სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კადრების სამჭედლო

მეხუთე წელია, რაც ქუთაისში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი არსებობს. მას ოთხი ფაკულტეტი აქვს — სუბტროპიკული მეურნეობის, სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ტექნოლოგიის, მექანიზაციისა და მეაბრეშუმეობისა. პირველ ორ ფაკულტეტზე შემქმნილია ქართული და რუსული სექტორები.

ამჟამად ინსტიტუტში 1.500 სტუდენტია, ხოლო მის დაუსწრებელ განყოფილებაზე უმაღლეს განათლებას იღებს სოფლის მეურნეობის 900-ზე მეტი მუშაკი. მრავალეროვანია სტუდენტთა შემადგენლობა. ქართველებთან ერთად აქ სწავლობენ რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, აზერბაიჯანელები, სომხები, აფხაზები, ოსები და სხვ.

ინსტიტუტს საუკეთესო კაბინეტ-ლაბორატორიები აქვს, მის განკარგულებაშია აგრეთვე სასწავლო-საცდელი მეურნეობები. მეცნიერი მუშაკები და სტუდენტები საწარმოო დახმარებას უწევენ კოლმეურნეობებს, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებს. სტუდენტებმა თავი ისახელეს როგორც ყაზახეთის ყამირ მიწებზე მოსავლის აღებაში, ისე რესპუბლიკის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში ჩაის კრეფასა და სხვა სამუშაოებში. მაღალ დონეზეა დაყენებული სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკა.

წელს მოხდება ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა გამოშვება. 28 თებერვალს დაიწყო პირველი სახელმწიფო გამოცდები. სუბტროპიკული მეურნეობისა და მეაბრეშუმეობის ფაკულტეტების 200-ზე მეტი სტუდენტი აბარებს გამოცდებს. აღსანიშნავია, რომ სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტზე არსებობს დეკორაციული მებაღეობის განყოფილება, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში და საერთოდ ამერიკაკავკასიაში წელს პირველად გამოუშვებს აგრონომ-დეკორატორებს.

ინსტიტუტის დირექციამ და პარტბიურომ (დირექტორი გ. გოლეთიანი, პარტბიუროს მდივანი გ. ბურჯანაძე) სათანადო მუშაობა გასწიეს სახელმწიფო გამოცდების ორგანიზებულად დაწყებისა და ჩატარებისათვის. სახელმწიფო საგამოცდო კომისიებს თავმჯდომარეობენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფესორი ნ. ხომიზურაშვილი, მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ვ. ლობჟანიძე და ბათუმის გამწვანების ტრესტის მმართველი ს. გოგიბერიძე.

პირველ დღეს სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტის 25 სტუდენტმა ჩააბარა გამოცდა პოლიტიკურ ეკონომიაში. გამოცდამ ცხადყო მომავალ სპეციალისტთა მომზადების მაღალი დონე. ღრმა ცოდნა გამოამჟღავნეს სტუდენტებმა ალ. ბარამიძემ, ლ. ალავიძემ, მ. კალანდაძემ, შ. მშვენიერაძემ, ა. გოგიტიძემ და სხვ.

ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კურსდამთავრებულნი იმუშავებენ როგორც ჩვენი რესპუბლიკის, ისე მოძმე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში. აბორის სუბტროპიკულ მეურნეობაში მუშაობის სურვილი გამოთქვეს ა. გოგიტიძემ, მ. კალანდაძემ, რ. ჟიჟავაძემ და სხვ. ქუთაისელი რ. ნიკარაძე იმუშავებს აფხაზეთში, აზერბაიჯანელები მ. ალიევი და რ. აზიზოვი — თავიანთი რესპუბლიკის სუბტროპიკულ რაიონებში, ი. აიანიანი — ყაზახეთის ყამირ მიწებზე, ნ. ლევჩენკო — უკრაინაში, ა. უუკოვი, ა. დერიაგინა და თ. გოროხოვა — კრასნოდარის მხარეში.

ივნისში სახელმწიფო გამოცდებზე წარდგება ტექნოლოგიისა და მექანიზაციის ფაკულტეტის 200 სტუდენტი.

წელს ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი სოფლის მეურნეობის 400-ზე მეტ ახალგაზრდა სპეციალისტს გამოუშვებს.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

სურათზე: სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტი ა. ბარამიძე გამოცდას აბარებს პოლიტიკურ ეკონომიაში. მარჯვნიდან მეორე — სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე პროფესორი ნ. ხომიზურაშვილი.

ფოტო დ. კაკიტელაშვილისა.

მექანიკური საკვებური მეფრინველეობის ფერმებისათვის

თბილისის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ქარხნის კოლექტივმა პირველმა საბჭოთა კავშირში აითვისა გიორგი ოგანეზოვის, ლევან პარკაძისა და თეიმურაზ ჭეიშვილის კონსტრუქციის მექანიკური საკვებური ქათმებისათვის.

მანქანა მეტად ორიგინალურია. იგი შედგება რედუქტორისაგან, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს ქათმის საკვებით დატვირთული ტრანსპორტიორი და ანაწილებს საკვებს სპეციალურად მოწყობილ სწორკუთხოვნად განლაგებულ თუნუქის ღარებში, რომელთა საერთო სიგრძე ას მეტრამდეა. მექანიზმი მოძრაობაში მოჰყავს ერთკილოვატიანი სიმძლავრის ელექტროძრავას. მანქანის ბუნკერი 200 კილოგრამ საკვებს იტევს. ეს საკვებით საკმარისია ერთდროულად 5 ათასი ქათმის გამოსაკვებად, რასაც ერთი კაცის შრომა სჭირდება.

მანქანის შექმნაში მონაწილეობა მიიღეს კონსტრუქტორებთან ერთად საამქროს უფროსმა ინჟინერმა კ. ციცქიშვილმა, ზეინკლებმა ა. პავლუხინმა, ო. რთველიაშვილმა, შემდეგლებელმა ა. პეტროსიანმა, მეთუნქეებმა ა. ოვანესიანმა, ა. ხიზანაშვილმა.

560 ათასი მანეთი შემოსავალი საძირე ვაზის ლერწიდან

ბურჯაანი. (საკ. კორ.). ვაზისუბნის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში საძირე ვაზის სადედე გაშენებულია 18 ჰექტარზე. ი. ღარიბაშვილის ბრიგადა მას მზრუნველობას არ აკლებს. ხვნას შემოდგომასა და გაზაფხულზე აწარმოებენ, ატარებენ კულტივაციას, სასუქები სრული დოზით შეაქვთ. შარშან თვითეულ ჰექტარზე 34 ათასი ცალი 110-სანტიმეტრიანი სტანდარტული ლერწი მიიღეს. გეგმა კი 32 ათას ცალს ითვალისწინებდა. თვითეულმა ჰექტარმა კოლმეურნეობას 40 ათას მანეთზე მეტი შემოსავალი მისცა, მაშინ როცა საშუალოდ ერთი ჰექტარი ვენახიდან 30 ათასი მანეთი შემოსავალი მიიღეს.

ვაზისუბნელებმა 118 ათასი ცალი 110-სანტიმეტრიანი სტანდარტული ლერწი თვითონ დაიტოვეს მყნობისათვის. 467 ათასი ცალი კი რაიონის კოლმეურნეობებს მიჰყიდეს. აქედან 560 ათასი მანეთი შემოსავალი მიიღეს.

მახარაძის რაიონის სახელობის კინოთეატრი გენიჩესკში

მახარაძე. (საკ. კორ.). აქ მიღებულია ცნობა, რომ ამ დღეებში უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის ცენტრში გაიხსნა ახალი კინოთეატრი, რომელსაც გენიჩესკელებმა მახარაძის რაიონის სახელი მიაკუთვნეს.

კინოთეატრი, რომლის აგება რამდენიმე ათეული ათასი მანეთი დაჯდა, უკვე საექსპლოატაციოდ გადაეცა. გენიჩესკელი მშრომელები მას „მეგობრობის კინოთეატრს“ ეძახიან. გახსნის პირველ დღეებში ნაჩვენები იქნა საუკეთესო საბჭოთა კინოსურათები, რომლებიც 30 ათასზე მეტმა მაყურებელმა ინახულა.

ფილმი ქართველ მეჩაიეებზე



შავი ზღვის სანაპირო... დასავლეთ საქართველოს მომხიბლავი ბუნების წარმტაცი პეიზაჟი. ხავერდოვანი ჩაის ბუჩქებით მოკარგული თვალუწვდენი პლანტაციები... ასეთი პოეტური კადრებით იწყება თბილისის ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის „ქართული ფილმის“ ახალი სურათი „ქართველი მეჩაიეები“.

ფილმი საინტერესოდ მოგვითხრობს ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეთა თავდადებულ, გმირულ შრომაზე, მათს შეუპოვარ ბრძოლაზე კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის, ჩაის მოსავლიანობის გადიდებისათვის.

სურათი გადაღებულია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით ი. ჭალიბაიას სცენარის მიხედვით რეჟისორ ირაკლი კანდელაკის მიერ, მთავარი კონსულტანტია მ. დოლაბერიძე, ოპერატორი ა. სეფიონოვი.

ფილმი გვიჩვენებს იმ უდიდეს მიღწევებს, რომლებიც მოპოვებულ იქნა ჩვენს რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩაის კულტურის სამრეწველო განვითარების ხაზით.

1921 წელს საქართველოში ჩაის ეკავა ათას ჰექტარზე ნაკლები ფართობი. ამჟამად მისი პლანტაციები გადაჰმიფლია 66 ათასზე მეტ ჰექტარზე. ჩაი გადაიქცა საქართველოს 26 რაიონის სოფლის მეურნეობის წამყვან კულტურად. 1955 წელს რესპუბლიკაში დამზადებულ იქნა 117.500 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. შექმნილია მსხვილი სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობები: ლაითურის, ჩაქვის, ოჩხამურის, აჩიგვარის და სხვ. მუშაობს 60 ჩაის ფაბრიკა, რომლებიც აღჭურვილი არიან უახლესი სამამულო ტექნიკით. თვითეული მათგანი სეზონის განმავლობაში 2-2½ მილიონ კილოგრამ ჩაის ფოთოლს ამუშავებს.

წარმატებები თვალსაჩინოა, მაგრამ ისინი ვერ აკმაყოფილებენ მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას მასობრივი მოხმარების ამ პროდუქტზე. მეჩაიეები არ იშურებენ ძალას, ცოდნას და გამოცდილებას, რათა სამშობლოს მისცენ სულ უფრო მეტი და კარგი ხარისხის ჩაი. მეექვსე ხუთწლედის ბოლოს — 1960 წელს მოკრეფილ იქნება 40% მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ვიდრე 1955 წელს. თვალუწვდენი ჩაის პლანტაციების ფონზე ეკრანზე გამოჩნდება წარწერა 1955 წ. — 117.500 ტონა, 1960 წ. — 165.000 ტონა.

მაყურებლის თვალწინ იშლება მომხიბლავი სურათი. კურორტ ქობულეთის მახლობლად გორაკებსა და მთის ფერდობებს გიგანტურ მწვანე ხალიჩასავით გადაფარებია ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციები. ეს ერთ-ერთი უდიდესი მეურნეობაა რესპუბლიკაში. ჩვენ ვხედავთ მის მოწინავე ადამიანებს, სოციალისტური შრომის გმირს ქრისტო ლავასახს, რომელიც უკვე 25 წელია ხელმძღვანელობს კოლმეურნეობას.

აქ თანმიმდევრულად ახორციელებენ აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსს. წარმატებით იყენებენ ჩაის ბუჩქების გასხვლის პროგრესულ წესს, რაც ხელს უწყობს ვეგეტაციის გაძლიერებას, მოსავლიანობის გადიდებას. ნაჩვენებია ბუჩქების გასხვლა სპეციალური მაკრატლებით და მანქანებით.

საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში ჩვეულებრივ ბევრი ნალექი იცის. ამავე დროს ჩვენს სუბტროპიკებს ზოგჯერ უდგებათ გვალვიანი ზაფხულიც.

მოწინავე მეურნეობები გვალვიან წელიწადში აწყობენ პლანტაციების მორწყვას, რისთვისაც იყენებენ მდინარის წყალს. მორწყვის უველაზე ეფექტიან საშუალებას წარმოადგენს ხელოვნური წვიმა. მისი გამოყენება შეიძლება ყველა რელიეფზე. ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ რწყავენ ჩაის პლანტაციებს ხელოვნური წვიმის მძლავრი დანადგარებით, კარგ შედეგებს იძლევა კვლევით მორწყვაც.

ჩაის მცენარეს ბევრი მავნებელი ბუჯს. ყველაზე მეტი ზარალი მოაქვთ ფარიანებსა და ცრუფარიანებს. მავნებლებთან ბრძოლისათვის ქართველმა კონსტრუქტორებმა შექმნეს სპეციალური მანქანები. სურათზე ნაჩვენებია მათი მუშაობა, დაავადებული ბუჩქების წმენდა.

ეკრანზეა მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიეთა პლანტაციები. აქ მუშაობს ჩაის უხვი მოსავლის ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატი სოციალისტური შრომის გმირი დარეჯან ტაკიძე. მისი ნაკვეთი მოწინავეთა გამოცდილების ნამდვილი სკოლაა. აგერ ჩაის ბუჩქებით შეფენილ ფერდობებს მოსდებიან კოლმეურნე ქალიშვილები, სწრაფად და მარჯვედ კრეფენ მწვანე ფოთოლს. ისინი დ. ტაკიძის მოწაფეები არიან.

წესიერი, დროული კრეფა ამაღლებს ჩაის ფოთლის მოსავლიანობას, აუმჯობესებს ნედლეულის ხარისხს. ამიტომ ის ფრიად მნიშვნელოვანი აგროტექნიკური ღონისძიებაა. იმის შესახებ, თუ როგორ უნდა კრეფა, ახალგაზრდა მეჩაიეებს ესაუბრება ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის წარჩინებული მეჩაიე ასმათ ჯიჯგავაძე.

ჩაის კრეფის საქმეს ბევრი გამოჩენილი ოსტატი ჰყავს. ფილმი თანმიმდევრულად გვიჩვენებს მათს მუშაობას. ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის წარჩინებული მეჩაიე მარია ბესპალოვა სწრაფად კრეფს ჩაის ნაზ ფოთლებს. აგერ აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მეჩაიე, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მატრონა ლეონტიევა, სოფელ ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ჩაის უხვი მოსავლის ოსტატი, სოციალისტური შრომის გმირი ვარდო კონცელიძე, რომელიც ფოთლის კრეფის დღიურ ნორმას 200-300 პროცენტით ასრულებს.

ჩაის კრეფა მეტად შრომატევადი სამუშაოა. არსად მსოფლიოში ამ მოიკოფებენ ითქმა — ანქონა, რომელიც ამ სამუშაოს ასრულებდის. ჩაის საკრეფი მანქანებს პირველი საცდელი ნიმუშები შექმნეს ქართველმა - ელექტროტექნიკოსებმა. ფილმში ნაჩვენებია ამ მანქანის გამოცდა ლაითურის საბჭოთა მეურნეობაში.

ფილმი გვიჩვენებს იმ დიდ მიღწევებს, რომლებიც მოპოვებულია მიჩურინული მეცნიერების დარგში ჩაის ახალი ჯიშების გამოსაყვანად. აკადემიკოს ქსენია ბახტაძის მიერ გამოყვანილია ახალი, მაღალმოსავლიანი ჩაის სელექციური ჯიშები „ქართული № 1“ და „ქართული № 2“, რომლებიც გაცილებით მეტ და უკეთესი ხარისხის ნედლეულს იძლევიან.

საქართველოში გაიზარდნენ მრავალრიცხოვანი კადრები, რომლებიც სრულყოფილად დაეუფლნენ ჩაის მეურნეობას. აი ერთ-ერთი საუკეთესო მეჩაიე, ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი ორგზის სოციალისტური შრომის გმირი თამარ ყუფუნია. მის მდიდარ გამოცდილებას ჩაის სარეკორდო მოსავლის მიღების საქმეში წარმატებით იყენებენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ფილმში ნაჩვენებია აგრეთვე წარჩინებული მეჩაიეების გული ბინჭარაძის (ქობულეთის რაიონი), ნათელა ბულისკერიას (ვალის რაიონი) მუშობა ჩაის პლანტაციებში.

პლანტაციებიდან შეუწყვეტელ ნაკადად მოდიან ავტომანქანები. მათ მოაქვთ ჩაის მწვანე ფოთოლი ფაბრიკებში, რომლებიც სრული დატვირთვით მუშაობენ. ჩვენ ვეცნობით ინჟინერ-ტექნოლოგის შ. მარდალეიშვილის კონსტრუქციის საღნობ (საჭყნობ) აგრეგატს. იგი ნაცვლად 7-8 საათისა, ამუშავებს საათში 800 კილოგრამ ჩაის, მნიშვნელოვნად ადიდებს აგრეთვე უმაღლესი ხარისხის ჩაის გამოსავალს. შ. მარდალეიშვილის აგრეგატი დადგმულია მთელ რიგ ჩაის ფაბრიკებში.

სურათის დასასრულ კადრებში ნაჩვენებია, როგორ იგზავნება ათეული ათასობით ტონა ჩაის მზა ნაწარმი ჩვენი ქვეყნის ჩაის საწონ ფაბრიკებში.

ფილმი „ქართველი მეჩაიეები“ ნათლად გვიჩვენებს ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეთა თავდადებულ შრომას მაღალხარისხოვანი სამამულო ჩაის წარმოების მკვეთრი გადიდებისათვის, იმისათვის, რომ 1960 წელს მისცენ საშობლოს 165.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

რეჟისორული ოსტატობის მხრივ სურათი კარგად არის გაკეთებული. საუკეთესოდ გადაღებული კადრები ნათლად მეტყველებენ ოპერატორის მაღალ ოსტატობაზე. ფილმის ემოციურ ძალას აძლიერებს კომპოზიტორ რ. ლაღიძის მუსიკა. მაყურებელს ატკბობს შესანიშნავი ქართული მელოდიები.

ფილმს მაღალი შეფასება მისცა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ. მას ინტერესით ნახავენ როგორც ჩვენი სამშობლოს, ისე მოძმე დემოკრატიული ქვეყნების მშრომელები.

ნ. ფაველიძე.

• • •

სურათებზე: კადრები ფილმიდან „ქართველი მეჩაიეები“.



ლაშარელა

თავი მეჩვიდმეტე*

არსად კანონი, არსად სამართალი

თუ ყმამ ბატონს გაჯავრებით ან ჯიბი კრას ან ხელით სცემოს, ხელი მოეკვეთოს ან იმ კაცის ხელის ფასი წაერთოს, თუ ან გაჯავრებით პირისპირ შეგინოს, ენა მოეკრას ან ენის ფასი წაერთოს... ვისაც შერისხდეს ღმერთი, თავის ბატონი მოკლას ან დაჭრას, ამისი სისხლი არ გაჩნდების, ამისთვის, რომე ყმისა ყველა ბატონისა არის.

ვახტანგის სამართლის წიგნი.

საპყრობილედან გამოშვებულ ლუხუმს ცხენი მოჰგვარეს. შეიარაღებულმა მონასპამ ქალაქის კარს იქით მიაცილა, უკან არ მობრუნდეო, გაიფრთხილეს და შუა გზაზე მიატოვეს.

თმამოშვებული, დიდხანის წვერგაუპარსავი გაჰყვა გზას მიგრიაული. მიდიოდა და თვითონაც არ იცოდა, სად და რატომ მიდიოდა მეფის პატივაყრილი მცველყოფილი. თითქო ფიქრში იყო წასული და კი არაფერზე ფიქრობდა. თავი ჩაქინდრა და სადავემოშვებული ცხენის ნებას მიჰყოლოდა. გაოგნებულს დროდადრო ცხენის ფრუტუნი გამოარკვევდა. გზისპირა ბალახისკენ კისერწაწვდილ ცხენს სადავეს მოსწევდა და გზაში რომ ჩააგდებდა, ისევ ნებაზე მიუშვებდა.

გომბორის აღმართს რომ შეუდგა, მთის ნიავმა შუბლი გაუგრილა, ოდნავ გამოაფხიზლა.

მეფის დიდებულ ამალასთან ერთად მგზავრობა გაახსენდა, ალექსი კომნენის სტუმრობა, მეფეების გომბორზე გადასვლა.

სწორედ აქ, გადასასვლელზე შემოეგება მეფეებს დედათა მონასტრის წინამძღვარი მონაზვნების გუნდით. რა ამოდ გალობდნენ მონაზვნები! ახლაც შორეულად ჩაესმის მათი შეწყობილი გალობა, ახლაც ჩვენებებივით თვალწინ უდგას თეთრად შემოსილი, ბნელი სენაკებიდან გამოსული ფერმკრთალი ქალიშვილები. როგორ გაახარა მაშინ ლუხუმი წყაროს მკაზმავი ხიზანას ქვრივ-ობლებისათვის ჭაბუკი მეფის თავგამოდებამ. იმდენად დაუბნელა თვალი და გონება აღტაცებამ, რომ იქვე ჩადენილ მეფის ბოროტმოქმედებას — ორი ულამაზესი მონაზვნის გამორჩევასა და გაპარებას ყურადღებაც არ მიაქცია. არც მაშინ დაფიქრებულა მიგრიაული მონაზვნების ბედზე, როცა მესამე დღეს მეფეთა კარვებიდან გამოშვებული დაინახა ისინი: ნამუსახდილი, თმაგაწეწილი და ტირილით თვალებდასიებული მონაზვნები ორ ცხენოსანს გაუგდეს წინ და უკანვე, მონასტრისკენ გაუყვნეს გზას.

მაშინ მონაზვნების დარდი არ ჰქონდა ლუხუმს, ნასყიდაანთ ქარუმას ბედი აწუხებდა და იმაზე ფიქრობდა, თუ რით ეშველა საბრალო ბიჭისათვის.

ნასყიდაანთ ქარუმას გახსენებამ კიდევ ახალი ფიქრი აუშალა მიგრიაულს. მოაგონდა თავისი მაშინდელი განსჯა, მეფის კარვის წინ რომ გადგამოდიოდა და თავში ეს ფიქრი უტრიალებდა: მაინც რამ აფიქრებინა იმ საცოდავს კვიცის ყიდვა, სხვა აღარა აკლდა რა უსახლკაროსა და უმიწაწყლო ობოლს? მერე, ისიც ეგეთი კვიცი რამ აყიდვინა, რომ მთელ ქვეყანას ზედ რჩება თვალი! განა არ იცოდა, რომ სოფელი ხარბი და შურიანია? მეფის საკადრისი კვიცი რა უგვაროსი და უმიწაწყლოს საქმე იყო? ამ ქვეყნად ყველას მასზე მეტი ძალა ჰქონდა და როგორ უნდა შეენარჩუნებინა ისეთი საქონელი, რომელიც ყველას თვალს სჭრიდა და გულს შურით უვსებდა!

რა ადვილად სჯიდა სხვის ბედს მაშინ მიგრიაული და არკი იცოდა, რომ მალე თვითონ ქარუმაზე უარეს დღეში ჩავარდებოდა...

ან მას რამ შეართვევინა იმისთანა ცოლი, რომ მთელ ქვეყანას ზედ რჩებოდა თვალი! განა მას ქარუმაზე უკეთ არ უნდა სცოდნოდა, რომ ქვეყანა ხარბი და შურიანია? მეფის საკადრისი ქალი რა მისებრ უგვაროსი და უნათესაოს საქმე იყო: სად უნდა დაემალა, როგორ უნდა შეენარჩუნებინა ისეთი საუნჯე, რომელიც ყველას თვალს სჭრიდა და გულს შურით უვსებდა.

ჰაი, ჰაი, რომ ეგრე იყო, მაგრამ მაშინ ხომ არც ლუხუმი ფიქრობდა ასე და არც ქარუმა. ამ ქვეყნად სიცოცხლისა და სიყვარულის, ოცნებისა და მოწონების უფლება ყველას ერთნაირი ჰქონდა, თვალი ხედვისათვის როგორ დაევსო, ან გული როგორ უნდა დაეხშო ტრფობისა და წრფელი სიყვარულისათვის. რა ვუყოთ, რომ ყმა გლეხი იყო, განა სიცოცხლის მოტრფიალე გრძნობა და თვალი იმის მიხედვით ზომავს, თუ რა გვარისა და შეძლების არის კაცი? ან მდიდარსა და გვარიანს, თუგინდ მეფესაც, მასზე ან ქარუმაზე მეტად შეუძლია მშვენიერების ტრფიალი და დაფასება? ადამიანები ხომ დედის მუცლიდან ერთნაირად შიშველ-ტიტველნი იბადებიან, თან არც ძოწეული მოჰყვებათ, არც გლეხის ტყაპუჭი, არც მეფის გვირგვინი, და არც მონის ულელი! ცხოვრება თავათ ადამიანებმა მოაწყეს ისე, რომ ერთნი ფუფუნებისა და განცხრომის ტახტზე სხედან, მეორენი ტანჯვისა და წამების ორმოში არიან ჩაცვენილნი. რათ უნდა იყოს ასე? როდემდის უნდა იყოს ქვეყანა აგრე უკუღმართად მოწყობილი?!..

უცებ ვაღაცამ ტყიდან დაუსტვინა, მეორე მხრიდანაც საპასუხო სტვენა გაისმა.

ლუხუმმა ფიქრებიდან გამორკვევაც ვერ მოასწრო, რომ გზის ორივე მხარეს იარაღასხმული ცხენოსნები გამოცვივდნენ ტყიდან და მგზავრს შემოერტყნენ.

— შეჩერდი! — უბრძანა პირისპირ მომდგარმა მხედარმა და შუბი მოუღერა. ლუხუმმა სადავე აკრიფა და ცხენი შეაყენა.

შუბმოშვერილი ცხენოსანი მიუახლოვდა. ერთმანეთს დააკვირდნენ.

— ქარუმა ხომ არა ხარ? — იკითხა ლუხუმმა.

— მე ვარ! შენ... — ახლა ქარუმა მიაშტერდა ცალთვალა ცხენოსანს — ლუხუმი არა ხარ?

— ჰო, ლუხუმი ვარ, ქარუმ! — თავისქნევით დაუდასტურა მიგრიაულმა.

მერე წყენითა და ბოიცებით მოავლო თვალი იარაღმომარჯვებულ ცხენოსნებს და კუშტად იკითხა:

— ჩემგან რა გინდათ?

— შენგან არაფერი... აქ სხვა ვინმეს გამოვლას ველოდით და შენ კი შეგვრჩი ხელთ.

ლუხუმმა თავით ფეხთამდე შეათვალიერა ქარუმა: დარაბტულ ქურანზე იჯდა დავაჟკაცებული, წვერულვაშდამშვენებული ნასყიდაანთ ბიჭი. კომნენის ნაჩუქარი ფული რომ შეაძლია მიგრიაულმა გულმოკლულ ქარუმას, იმ დღის შემდეგ აღარსად შეხვედრია, ჭორად იცოდა, ტყეში გავიდა და გაყაჩაღდაო, მაგრამ არ სჯეროდა და ახლა კი თავისი თვალით ნახა.

— მაშ მართალია, ქარუმ? ასე ჩემნაირ მგზავრებს ხვდება შარაგზაზე? — წყენითა და სინანულით ჰკითხა ლუხუმმა.

—არა, ტყეილია, ლუხუმ, შენისთანა მგზავრებს რას ვემართლები, შენ თავათ ჩემზე უბედური ხარ და მიუსაფარი! — ქარუმას ხმა აუკანკალდა, შუბლი შეიკრა და ლუხუმს სახე მოარიდა — ჩამოხდი, ძია ლუხუმ, დავსხდეთ, პური ვჭამოთ და ერთი მეორეს გული გავუხსნათ.

ქარუმამ ლუხუმის თანხმობას არ დაუცადა, თვითონ პირველი ჩამოხდა. ლუხუმიც თითქოს თავისდაუნებურად ჩამოქვეითდა. მეკობრეთა ალყა გაიხსნა და ქარუმა ტყისკენ წაუძღვა ლუხუმს.

ლაგამწაყრილ ცხენებს მწყემსები მიუჩინეს და ბალახზე მიუშვეს. ყველანი ჩამოსხდნენ, მწვანეზე სუფრა გაშალეს, ხურჯინებს თავი მოხსნეს და ტიკჭორიდან ღვინო ჩამოასხეს.

— ეს ალალ ხალხს გაუმარჯოს! — თქვა პირველი სადღეგრძელო ქარუმამ. დალია, რქა აავსო და ლუხუმს მიაწოდა. ლუხუმმა გაოცებით შეხედა ბნელი ტყის ყაჩაღს, შუბლშეკრულმა სასმისი ასწია და სადღეგრძელო თქვა:

— მართალ კაცს გაუმარჯოს, ვინც ალალ ლუკმასა სჭამს!..

სასმისი ჩამორიგდა, ზოგმა ჩუმად დალია, ზოგმაც ქარუმასა და ლუხუმის ნათქვამი გაიმეორა. მხოლოდ ერთი გაუკვირდა ლუხუმს — ეს სადღეგრძელო ისე არხეინად, დამშვიდებით დალია ყველა ყაჩაღმა, რომ წარბიც არ შეუტოკავს არც ერთს.

— აგერ რამდენი წელია, ლუხუმ, ტყეში ვარ, ნაძარცვითა და მოტაცებულით ვცხოვრობ, მაგრამ ჯერ პატიოსანი კაცისთვის არა წამირთმევია რა. ბატონებსა და ერისთავებს ვესხმი თავს, გასუქებული ეპისკოპოსების ქონებას ვეტანები და ხომ იცი, ქურდის ქურდი არ წაწყდება, — მწარედ ჩაიცინა ქარუმამ და სხვებმაც ჩუმად ჩაიქირქილეს.

— ამბობენ, ვითომ ბაკურ ერისთავის სახლი შენ დაგიწვამ.. — სხვათა შორის თქვა ლუხუმმა და თვალი თვალში გაუყარა ნასყიდაანთ ობოლს.

— მე დავწვი... შევუთვალე, კიდეც ბაკურს, ჯერ ეგ იყოს და მერე სხვამეთქი...

— მთაში მიდენილ ბაკურის ჯოგის გატაცებასაც შენ გაბრალებენ.

— ეგეც ჩემი საქმეა...

— ეფრემა ეპისკოპოსს გზაზე შენ დახვდი?

— დავხვდი და გავწმინდე კიდეცა. ქვრივ-ობლების ნაძარცვზე ხელი ავაღებინე, ჯერ ეს ბიჭები დავალოცვინე და ვაკურთხებინე, მერე დედაშობილა ცანგალა ვაცეკვე და ისე გავუშვი.

— შენგან არა მჯეროდა. ეგ გზა პატიოსნების გზა არ არი, ქარუმ, მაგ გზას არ უნდა დასდგომოდი.

— ჰმ.. მეც ვიცი, რომ არ უნდა დავდგომოდი. თავათაც არ მინდოდა, მაგრამ რაკი ამ ქვეყანაზე კანონი არა ყოფილა და სამართალსაც სხვა გზა არა ჰქონია, მეც ამ გზაზე გამოვედი. თვითონ ცხოვრებამ გამომაგდო, ლუხუმ, ამ გზაზე, თორემ შენ თავათ უკეთ იცი, ობლობაში სამადლო ლუკმით გავიზარდე, სიყრმიდან სიბეჩავისა და ჯაფის მეტი არა ვიცი რა. როგორც კი ცოტა მოვიყარე, მოჯამაგირედ დავდექი, ხუთ წელიწადს ვემსახურე უადამიანო ადამიანს, ცემა-ტყეპა მე არ მაკლდა და დაცინვა, ღამე ძილი არ მქონდა და დღე სულისმოთქმა. მერე ამდენი ხნის ნაწვავ-ნადაგი ფულით ის კვიცი ვიყიდე და შენც იცი, რაც მომივიდა. ვერც სამართალი ვიპოვნე სადმე და ვერც კანონი, ცხოვრებამ მომძიტა და აი ამ გზაზე გამომაგდო... და განა მარტო მე.. აგე, ხოსიტა, გალმამხრეული ზაზიაშვილი, ჰკითხე, რათ გამოსულა ტყეში... ჭერეთის ერისთავმა სახლი დაუქცია და ფუძე გადაახვნევინა. მერე რათათო? იმისი მწევარი გაცოფებულიყო, სოფელში შემოვარდნილიყო და მაგის ბალღებს რომ მიჰტანებიყო, მოეკლა... მა არ უნდა მოეკლა? სეირისთვის ეცქირა, როგორ დაუკბენდა და დაუცოფიანებდა ბალღებს?.. გეკითხები — არ უნდა მოეკლა?

— უნდა მოეკლა! — ოხვრით დაუდასტურა თავჩაღუნულმა ლუხუმმა...

— ჰოდა, მეც მანდა ვარ! რომ მოკლა, მერე ეს მოუვიდა, სახლკარი დაუქციეს და გადაუბნეს.. სამართალი ვერ იპოვნა და უსამართლობამ აქ გამოიგდო...

ხმალზე დაყრდნობილ ხოსიტას თვალები მოწყლიანებოდა და ცრემლს თითქო ოდნავ მოელბო მისი მკაცრი სახე. ლუხუმმა შეხედა უბედურ ვაჟკაცს, ერთი კიდევ ამოიოხრა და თავი ბრალდებულივით ჩაღუნა.

— ან აგერ არჩილას ამბავი იკითხე, —აღგზნებული განაგრძობდა ქარუმა — მაჩხანელ არჩილას მამა ხორნაბუჯელმა კალოზე მოუკლა, თურმე დედა რომ შეაგინა, საწყალს სიტყვა შეებრუნებინა — მეც ისეთი დედა მყავს, როგორიც შენაო, რაც ჩემს დედას, ის შენსასაო... ეგ იყო და ეგა, მოხუცს დაყვირება ვერ მოუსწრია, ხარნაბუჯელს თავში აფთი უცია და საცოდავის

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

*) ვბეჭდავთ ნაწყვეტს გრ. აბაშიძის რომანიდან „ლაშარელა“ რომანი მთლიანად იბეჭდება ჟურნალ „მნათობში“.

საკვლევი უარყოფს

ამას წინათ ინგლისის პრესაში გამოქვეყნდა ცნობა, რომ თითქოს სირიაში არის საბჭოთა საიდუმლო საჰაერო ბაზა, რომელიც თითქოს რუს ინჟინრებსა და ტექნიკოსებს აეშენებინოთ.

კომპეტენტურმა საბჭოთა ორგანიზაციებმა საკვლევის კორესპონდენტს განუცხადეს, რომ აღნიშნული ცნობა მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს და ბოროტი მონაჭორია. იგი აშკარად იმისათვის არის ნავარაუდევი, რომ ჩამოაშორონ საზოგადოებრივი აზრის ყურადღება აგრესიულ კოლონიალისტურ პოლიტიკას, რომელსაც ზოგიერთი სახელმწიფო ახორციელებს ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ.

დამთავრდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტის მუშაობა

ნიუ-იორკი, 1 მარტი. (საკვლევი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტის 28 თებერვლის სხდომაზე დამთავრდა დასავლეთ ირიანის საკითხის განხილვა. კომიტეტმა მიიწონა 13 ქვეყნის რეზოლუციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „კეთილი სამსახურის“ კომისიის შექმნას. ამ კომისიამ დახმარება უნდა გაუწიოს ინდონეზიის და ჰოლანდიის მთავრობათა შორის მოლაპარაკებას. ამ მოლაპარაკებას, ნათქვამია პროექტში, უნდა მოჰყვეს დასავლეთ ირიანის საკითხის სამართლიანი და მშვიდობიანი გადაწყვეტა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებისა და მიზნების შესაბამისად. რეზოლუციის პროექტს ხმა მისცეს 39 ქვეყნის დელეგაციებმა, წინააღმდეგ — 20 ქვეყანამ, მათ შორის ჰოლანდიამ, ინგლისმა, საფრანგეთმა, ავსტრალიამ და სხვ. 10 დელეგაციამ, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ, თავი შეიკავა.

ამით კომიტეტის დღის წესრიგი ამოიწურა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკურმა კომიტეტმა მუშაობა დაამთავრა.

იაპონიის პრემიერ-მინისტრის განცხადება

ტოკიო, 28 თებერვალი. (საკვლევი). იაპონიის პრემიერ-მინისტრმა კისიმ დღეს პრესკონფერენცია გამართა უცხოელ ჟურნალისტებისათვის.

უპასუხა რა მიცემულ კითხვებზე, კისიმ თქვა, რომ პარლამენტის სესიის დამთავრების შემდეგ იგი აპირებს ეწვიოს მთელ რიგ ქვეყნებს, მათ შორის შეერთებულ შტატებს, სადაც განზრახული აქვს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ხელმძღვანელებთან განიხილოს იაპონია-ამერიკის ურთიერთობის პრობლემები.

შეეხო რა იაპონია-ამერიკის უშიშროების პაქტისა და ადმინისტრაციული შეთანხმების საკითხს, კისიმ აღნიშნა, რომ საბოლოო ანგარიშით ისინი იაპონელი ხალხის სურვილის შესაბამისად ლიკვიდირებულ უნდა იქნან.

ილაპარაკა რა სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან ვაჭრობის შეზღუდვების შესახებ, კისიმ აღნიშნა, რომ იაპონიისათვის საარსებო საჭიროებას წარმოადგენს ამ შეზღუდვათა შესუსტება და ვაჭრობის გაფართოება ყველა ქვეყანასთან, განსაკუთრებით ჩინეთთან. ახლა, საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შემდეგ, განაცხადა კისიმ, დგას იაპონია-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის გაფართოების საკითხი.

კ ო მ უ ნ ი კ ე

საბჭოთა კავშირ-რუმინეთის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის მერვე სესიის შესახებ

მიმდინარე წლის თებერვლის მეორე ნახევარში ბუქარესტში მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირსა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის საბჭოთა კავშირ-რუმინეთის კომისიის მორიგმა სესიამ.

სესიამ, რომელიც ურთიერთ გაგებისა და მეგობრობის ვითარებაში მიმდინარეობდა, მიიღო გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია ორივე ქვეყანას შორის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომი გაფართოება.

სესიაზე მოხდა აზრთა გაზიარება იმის შესახებ, რომ მხარეებმა შეასრულონ წინათ მიღებული ვალდებულებანი და განიხილონ სსრ კავშირსა და რუმინეთს შორის თანამშრომლობის მორიგი საკითხები.

კომისიამ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ მეშვიდე სესიის შემდეგ განვლილ პერიოდში მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში მიღწევების გაზიარება ქვეყნებს შორის წარმატებით ხორციელდებოდა. 1956 წლის უკანასკნელ ექვს თვეში მრავალი რუმინელი მეცნიერი, ინჟინერი, ტექნიკოსი და ექიმი ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში, სადაც გაეცნო მრეწველობის, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის, ტრანსპორტის და ჯანმრთელობის დაცვის მიღწევებს, ამავე დროს რუმინეთის შესაბამისმა ორგანიზაციებმა მიიღეს საბჭოთა სპეციალისტები და გააცნეს მათ თავიანთი სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევები და საწარმოო გამოცდილება.

კომისიის მერვე სესიაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესაბამისად საბჭოთა კავშირი 1957 წლის პირველ ნახევარში რუმინეთს გადასცემს მთელი რიგი მანქანების, ბენზინის კატალიზური რეფორმინგის დანადგარის, ნავთობის ნარჩენების დაკოქსვის და ნავთობის გაზისაგან სინთეზური ეთილის სპირტის ნედლეულის მიღების ტექნიკურ დოკუმენტაციას, ნახაზებს სასოფლო-სამეურნეო მანქანების გასაკეთებლად და სხვა დოკუმენტაციას.

საბჭოთა კავშირი რუმინელ სპეციალისტებს მისცემს შესაძლებლობას გაეცნონ ნავთობის, მეტალურგიის, ქიმიური და მრეწველობის სხვა დარგების სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევებს და საწარმოო გამოცდილებას.

თავის მხრივ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა საბჭოთა კავშირს გადასცემს საპროექტო-ტექნიკურ დოკუმენტაციას სამრეწველო მშენებლობაში ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების გამოყენების შესახებ, ნედლი ნავთობის ელექტროგაწმენდისთვის დანადგარის და ამოსაღები მილების ავტომატური დანადგარის ტექნიკურ დოკუმენტაციას ჭაბურღილების ღრმა სატუმბავი ექსპლოატაციის დროს, აგრეთვე მიიღებს საბჭოთა სპეციალისტებს და გააცნობს მათ მიღწევებს კვების მრეწველობისა და მედიცინის დარგში.

საბჭოთა კავშირ-რუმინეთის კომისიის მერვე სესიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სოფლის მეურნეობის დარგში თანამშრომლობის ყოველი ღონისძიებით გაფართოების საკითხებს და მოიწონა ორივე ქვეყნის სოფლის მეურნეობის სამინისტროებს შორის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის 1957 წლის გეგმა. დასახულია ერთობლივად დაამუშაონ მთელი რიგი სამეცნიერო-საწარმოო პრობლემები, მათ შორის: სიმინდის, ვაზის და ბოსტნეული კულტურების ახალი უხვმოსავლიანი ჯიშების გამოყვანა, კულტურული მცენარეების დაავადებათა და მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის მაღალეფექტიან ღონისძიებათა გამონახვა, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდება, აგრეთვე რადიაქტიური იზოტოპების გამოყენება სოფლის მეურნეობაში.

გეგმა ითვალისწინებს სპეციალისტთა ურთიერთ მივლინებას სოფლის მეურნეობის დარგში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გასაცნობად, საწარმოო გამოცდილების ფართო ურთიერთგაზიარებას მიწათმოქმედების, მემცენარეობის, მეცხოველეობის, მეაბრეშუმეობის, შრომატევად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის მთელ რიგ საკითხებში, თესლის, ბიოპრეპარატების, ჯიშიანი ცხოველების, უახლესი სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მოწყობილობის ნიმუშების გაცვლას, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის დარგში ტექნიკური დოკუმენტაციის ურთიერთ გადაცემას.

საბჭოთა დელეგაციას კომისიის მერვე სესიის მუშაობის პერიოდში გააცნეს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთელი რიგი სამრეწველო საწარმოები, სამეცნიერო და კულტურული დაწესებულებანი.

დამთავრდა არაბთა ოთხი სახელმწიფოს მეთაურების თათბირი

კაირო, 28 თებერვალი. (საკვლევი). გუშინ დამთავრდა არაბთა ოთხი სახელმწიფოს — ეგვიპტის, სირიის, საუდის არაბეთისა და იორდანიის მეთაურების თათბირი, რომელიც 25-27 თებერვალს მიმდინარეობდა კაიროში.

გამოქვეყნებულ ერთობლივ კომუნიკეში ნათქვამია, რომ საუდის არაბეთის მეფემ საუდმა დაწვრილებით გააცნო თათბირის მონაწილეებს თავისი მოლაპარაკება ამერიკის ხელმძღვანელებთან ამერიკის შეერთებულ შტატებში ამასწინანდელი მოგზაურობის დროს.

თათბირის მონაწილენი, აღნიშნულია კომუნიკეში, ადასტურებენ თავიანთ მისწრაფებას დაამყარონ თანამშრომლობა იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც თავის მხრივ ესწრაფვიან მეგობრობას არაბთა ქვეყნებთან სუვერენიტეტის, ინტერესებისა და იმ პოლიტიკის პატივისცემის საფუძველზე, რომლის განხორციელებაც არაბთა ქვეყნებს საჭიროდ მიაჩნიათ. არაბთა ქვეყნები კვლავ ადასტურებენ თავიანთ გადაწყვეტილებას არ მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა კონფლიქტში და პოზიტიური ნეიტრალიტეტის პოლიტიკის ერთგულნი დარჩნენ.

„ისინი აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ არაბთა სამყაროს დაცვა უნდა იყოს არაბთა ქვეყნების საქმე მათი ნამდვილი უშიშროების თვალსაზრისით და არ უნდა შედიოდეს უცხოეთის პაქტების ფარგლებში“.

თათბირის მონაწილეებს, ნათქვამია შემდეგ კომუნიკეში, მიაჩნიათ, რომ, მიუხედავად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციებისა, რომლებიც მოითხოვენ ისრაელის ჯარების უთუოდ გაყვანას ეგვიპტის ტერიტორიიდან, აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ ფაქტიურად გრძელდება, რამდენადაც ისრაელი არ ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამ რეზოლუციებს. ასეთი მდგომარეობა, თათბირის მონაწილეთა აზრით, საფრთხეს უქმნის მშვიდობას შუა აღმოსავლეთში.

არაბთა ოთხი სახელმწიფოს მეთაურებმა გაანცხადეს, რომ გადაწყვეტილი აქვთ იბრძოლონ ისრაელის ჯარების დაუყოვნებლივ და უთუოდ გაყვანისათვის დაზავების სადემარკაციო ხაზს იქით. მათ აგრეთვე განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ პალესტინის არაბთა ყველა უფლებასა და არაბთა სუვერენიტეტს მათი მიწებისა და ტერიტორიული წყლებისადმი. თათბირის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს ეგვიპტის უფლებას მიიღოს კომპენსაცია აგრესორი სახელმწიფოებისაგან მთელი მიყენებული ზარალისა და დანაკლისისათვის. თათბირის მონაწილენი უარყოფენ ყოველგვარ ცდას შეამცირონ ეგვიპტის სუვერენიტეტი და მისი უფლებები სუეცის არხზე, რომელიც ეგვიპტის განუყოფელი ნაწილია. არაბთა ოთხი სახელმწიფოს მეთაურებმა დაგმეს ინგლისის აგრესია იემენის წინააღმდეგ და დაადასტურეს თავიანთი სოლიდარობა იემენის ბრძოლაში ამ აგრესიის წინააღმდეგ.

არაბთა ოთხი ქვეყნის მეთაურები უთუოდ უჭერენ მხარს ალჟირის არაბთა თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას და აღტაცებული არიან მათი მტკიცე ბრძოლით იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

თათბირის მონაწილეებს მიაჩნიათ, ნათქვამია დასასრულ კომუნიკეში, რომ მათი განმათავისუფლებელი პოლიტიკა, რომელიც ეყრდნობა რწმენას, რომ მათს ქვეყნებს აქვთ თავისუფალი და დამოუკიდებელი არსებობის უფლება და რომელიც გამომდინარეობს არაბთა ნაციონალიზმიდან, ხელს უწყობს მათს დარაზმვას და ამრიგად ეხმარება არაბთა ქვეყნებს მიიღწიონ თავიანთ მიზნებს — თავისუფლებას, ერთიანობასა და პროგრესს.

უკრაინელი ახალგაზრდობის დელეგაცია გათუმში

გათუმი. (საკ. კორ.). კომკავშირის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მოწვევით ამ დღეებში აქ სტუმრად ჩამოვიდა ქალაქ ოდესის ახალგაზრდობის დელეგაცია.

გასული წლის ზაფხულში ჩაისახა შავიზღვისპირეთის ამ ორი დიდი ქალაქისა და ნავსადგურის ახალგაზრდობის მეგობრობა. შემდეგ იგი სულ უფრო ფართოვდება და მტკიცდება. ორი ქალაქის ახალგაზრდობის წარმომადგენლები ამ პერიოდში რამდენჯერმე ეწვივნენ ერთმანეთს.

ამჯერად ჩამოვიდა 18 ოდესელი ახალგაზრდა. მათ მეთაურობდა კომკავშირის ოდესის ერთ-ერთი რაიკომის მდივანი ვ. პეტუხოვი. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ მეჩნიკოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სამედიცინო, კავშირგაბმულობის, ელექტროტექნიკური და სხვა ინსტიტუტების სტუდენტები, წარმოების ნოვატორები და სხვ.

ოდესელი ახალგაზრდობის დელეგაციამ ბათუმში ერთ კვირაზე მეტ ხანს დაჰყო. ამ ხნის განმავლობაში მას არაერთი გულთბილი შეხვედრა მოუწყეს ბათუმელი ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა. კომკავშირის ბათუმის საქალაქო კომიტეტმა მოაწყო უკრაინელი და ქართველი ახალგაზრდობის მეგობრობისადმი მიძღვნილი საღამო.

ხუთმრეტმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ბათუმის ღირსშესანიშნაობანი, ბოტანიკური ბაღი, აჭარის საკურორტო ზონა, გაეცნენ ციტრუსკომბინატის, ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის, საკონდიტრო ფაბრიკის და სხვა საწარმოთა მუშაობას. 26 თებერვალს მეზღვაურთა კლუბში სტუმრები შეხვდნენ ქალაქის კომკავშირული ორგანიზაციის აქტივს.

1 მარტს თბომავალ „პეტრე დიდით“ უკრაინელი ახალგაზრდობის დელეგაცია გაემგზავრა ოდესაში. სტუმრები გულთბილად გააცილეს ბათუმის ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა.

* * *

სურათზე: უკრაინელი სტუდენტები ბათუმის ნავსადგურში.

თბილისიდან გაემგზავრა დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის დელეგაცია

საქართველოში ორი დღის ყოფნის შემდეგ 2 მარტს თბილისიდან დონის როსტოვში გაემგზავრა დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის დელეგაციის წევრთა ჯგუფი, რომელსაც მეთაურობს სახალხო პალატის დეპუტატი ჰანს ზაიგეკსერი.

გერმანელ სტუმართა გამგზავრების წინადღეს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა დარბაზობა გამართა მათ პატივსაცემად. დარბაზობამ დიდი გულითადობის ვითარებაში ჩაიარა.

აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით, დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის წარმომადგენლები გააცილეს სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის წევრმა ა. ლ. გუნიამ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ს. ს. როსტიაშვილმა, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ე. მელაძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა ნ. უ. ჯაშმა, ა. ვ. ჭიოიაძემ, გ. ნ. ჯიბლაძემ, მ. კ. ლომიძემ, ა. ა. გიგოშვილმა, ბ. ვ. ლორთქიფანიძემ, თ. ვ. ლაშქარაშვილმა, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორმა გ. ს. ფირცხალავამ, საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. შ. ვასაძემ, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ ვ. ა. ყოჩორაძემ, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ბ. ე. ლომიძემ, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა.

აეროდრომზე სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის წევრმა ა. ლ. გუნიამ და დელეგაციის მეთაურმა ჰანს ზაიგეკსერმა სიტყვები წარმოთქვეს.

— საქართველოში ჩვენ გავატარეთ, — თქვა ჰანს ზაიგეკსერმა, — მშვენიერი, დაუვიწყარი დღეები, რომლებიც აღსავსე იყო გულწრფელი, გულითადი, ნამდვილი მეგობრობით. ჩვენ ვნახეთ, თუ რა პროგრესს მიაღწია საბჭოთა საქართველომ.

გეოგრაფიულად ჩვენი ქვეყანა თქვენგან შორს არის, მაგრამ ჩვენ ახლოს ვართ საბჭოთა ადამიანებთან, დაკავშირებული ვართ მათთან სამართალისა მეგობრობით. დიდი საბჭოთა კავშირის ხალხებთან მეგობრობაში ვიძენთ ბალეს ერთიანი დემოკრატიული გერმანიისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის საბრძოლველად. (საკვლევი).

ღ ღ ე ს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ქეთო და კოტე (დილას), დონ-კიხოტი (საღამოს), **რუსთაველის სახელობის** — საპატარძლო აფიშით (დილას), ჩვენებურები (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — მკაცრი ქალიშვილები (დილას), მაია წყნეთელი (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — ფილუმენა მარტურანო (დილა-საღამოს), **სომხური დრამის** — მიცვალებულის აღდგომა (დილა-საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — დალი (დილას), პერიკოლა (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ოქროს კავკოჩრიანები (აბონემენტი № 38, 12 ს.), გამომგონებლები (აბონემენტი № 26, 6 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — განძთა კუნძული (3 ს.), ორი ნეკერჩხალი (3 ს. 30 წ.), **თოჯინების ქართული** — თოვლის პაპა (12 ს. და 3 ს.), **ფილარმონია** — საქართველოს სახელმწიფო საესტრადო ორკესტრის კონცერტი (ძერჟინსკის სახელობის კლუბი, 9 ს.), ახალგაზრდობის დასვენების საღამო (საზამთრო თეატრი, 8 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — ლეილა და გაბორი, **ამირანი, თბილისი, საქართველო** (წითელი დარბაზი), **ისანი** — ისტორიის გაკვეთილი, **26 კომისრის სახელობის, კომკავშირელი, კიროვის სახელობის პარკი** — ჩვენი ეზო, **დიდუბე, ოფიცერთა სახლი, გორკის სახელობის კულტურის სახლი** — ქარიშხლის შემდეგ, **სპარტაკი** — გაცრუებული ოცნებები, **სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი** — პავლე კორჩაგინი, **კოლხიდა** — კნოპკა და ანტონი, **კოლმეურნე** — ბაში-აჩუკი, **მილიციის სამმართველოს ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — ბედნიერებასთან შეხვედრა, **კომუნარების ბაღი** — ბირაჯ ბახუ, **საქართველო** (მწვანე დარბაზი) — გმირობა, **ქრონიკა** — ბუდაპეშტი; პროგრამის მთავარი ნომერი; პატარა ხომალდი; ღვეზელი.

ტელეგადაცემათა 3 მარტის პროგრამა

18.00 — გადაცემა საშუალო ასაკის ბავშვებისათვის — ნ. ლომოურის „ჯაჯანა“ (გადაცემა მიძღვნილია მწერლის დაბადების 105 წლისთავისადმი).

18.35 — მოსწავლეებისათვის — ჩეხური ფილმი: „ყოჩაღი ჯარისკაცის შვეიკის თავგადასავალი“.

20.00 — კონცერტი ციკლიდან „საყვარელი სიმღერები საბჭოთა კინოფილმებიდან“.

20.40 — ახალი იტალიური მხატვრული ფილმი „ყველაზე ლამაზი“.

მეუღლე ანა, შვილები ტურფა, მამუკა ციწაძეები, სიძე მ. ენდელაძე ოჯახით იუწყებიან დამსახურებული პედაგოგის

გიორგი ივანეს-ძე ციწაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6-III, 8 ს. გამოსვენება 7-III, 4 ს. წყალტუბოს ქ. № 7.

მეუღლე ოლგა, შვილები შალვა, თამარ, გრიგოლ, ალექსანდრე ოჯახებით და ნათესავებით იუწყებიან

ლუკა იოსების-ძე ჭოხონელიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4-III, 8 ს. გამოსვენება 5-III, 5 ს. ბარნოვის ქ. № 71.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მილიციის სამმართველოს მუშაკები იუწყებიან თანამშრომლის

თამარ ივანეს ასულ ლალიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4-III, 8 ს. გამოსვენება 5-III, 5 ს. გორის შესახვ. № 14 (დიდუბე).

მეუღლე ქვაჩა, შვილები ვალერიან, შოთა, გიორგი, გულნარა, რძლები ალექსანდრა, ნაზი, ლია ოჯახებით იუწყებიან

ელიზე გიგოს-ძე ასკურავას

გარდაცვალებას, დაკრძალვა 7-III სოფ. სახოშტარიოში (აბაშის რ.).

საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორების კავშირი იუწყება ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის

კირილე ნესტორის-ძე პაჭკორიას

გარდაცვალებას.

მეუღლე სოფიო, შვილები ელენე, შოთა ნათესავებით იუწყებიან

თეოფანე ფირანის-ძე მეგრელიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4-III, 8 ს. გამოსვენება 5-III, 5 ს. ორჯონიკიძის ქ. № 73.

მშობლები ტასო, სიმონ, და მედეა, სიძე თ. კოტიაშვილი, ნიფო, ქეთო, ნატა, ალექსანდრე დოლიძეები ოჯახებით იუწყებიან

რუსუდან სიმონის ასულ დოლიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6-III, 8 ს. გამოსვენება 7-III, 5 ს. უნივერსიტეტის ქ. № 22.

ნეკროლოგი

კ. ნ. პაჭკორია

გარდაცვლილა ბატონი კონსტანტინე თვალსაჩინო ოსტატი, ხალხური ლექსიერების ღვაწლმოსილი მოამაგე, [illegible]

კ. პაჭკორია ბავშვობიდანვე სიმღერით იყო გატაცებული. ჯერ კიდევ 22 წლის ჭაბუკმა, პირველად გუდაუთაში 1908 წელს ჩამოაყალიბა მომღერალთა ბატარა გუნდი და მრავალი კონცერტი გამართა ყართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აფხაზეთის ფილიალის სასარგებლოდ.

ცნობილი ლოტბარის ძუკუ ლოლუას გარდაცვალების შემდეგ კ. პაჭკორიამ მონდომებით განაგრძო თავისი მასწავლებლის გზა და საგუნდო საქმე საქართველოში მაღალ საფეხურზე აიყვანა. დასავლეთ საქართველოს ძ. ლოლუას სახელობის გუნდი კ. პაჭკორიას ხელმძღვანელობით პირველად 1927 წელს გაემგზავრა მოსკოვში და იქ წარმატებით გამოდიოდა.

1929-1940 წლებში კ. პაჭკორია სისტემატურად მართავს კონცერტებს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში.

ბრწყინვალე წარმატება ხვდა კ. პაჭკორიას გუნდს 1937 წელს ქართული ხელოვნების დეკადაზე მოსკოვსა და ლენინგრადში. დასავლეთ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა, რომლის შემადგენლობაში შეყვანილ იქნა მეჩონგური ქალთა ჯგუფი ა. მეგრელიძის ხელმძღვანელობით, მაღალი შეფასება მიიღო, ხოლო ანსამბლის ხელმძღვანელი კ. პაჭკორია დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით.

ნაყოფიერი და უანგარო მოღვაწეობისათვის კ. პაჭკორიას საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის სპატიო წოდება მიენიჭა.

კ. პაჭკორიას ხსოვნა დაუვიწყარი იქნება მისი ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მესამე სახელმწიფო სესხი

ოფიციალური ცხრილი

მოგებათა მე-17 ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1957 წლის 24 თებერვალს ქალაქ ნიუნტაგილში.

მოგება ხვდა სესხის ყველა თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
040052	46*)	1.000	050029	17*)	25.000
040268	1—50	200	050048	41*)	10.000
040308	22*)	1.000	050088	24*)	1.000
040320	41*)	1.000	050243	22*)	1.000
040322	12*)	1.000	050288	1—50	500
040325	1—25	200	050530	1—50	500
040377	1—50	200	050657	47*)	5.000
040693	48*)	1.000	050816	1—50	200
040765	1—50	200	051043	45*)	1.000
040803	1—50	500	051366	39*)	25.000
041223	1—50	200	051463	14*)	1.000
041407	1—50	200	051482	1—50	200
041704	09*)	1.000	051495	1—50	200
041970	1—50	500	051575	09*)	1.000
042137	1—50	200	051645	40*)	1.000
042273	27*)	1.000	051693	1—50	500
042489	49*)	1.000	051698	41*)	1.000
042544	14*)	1.000	051768	10*)	5.000
042674	20*)	1.000	051980	21*)	1.000
043015	1—50	200	052027	30*)	10.000
043041	1—50	200	052168	36*)	50.000
043221	09*)	1.000	052175	20*)	1.000
043237	27*)	1.000	052288	40*)	1.000
043326	1—50	200	052304	14*)	10.000
043398	1—50	200	052370	13*)	1.000
043450	1—50	500	052462	21*)	1.000
043532	35*)	1.000	052602	1—50	500
043915	1—50	500	052704	37*)	1.000
044013	18*)	1.000	052850	14*)	1.000
044134	42*)	1.000	052911	39*)	1.000
044177	24*)	1.000	053062	1—50	200
044360	06*)	1.000	053096	32*)	5.000
044537	33*)	1.000	053287	1—50	500
044634	05*)	1.000	053431	20*)	1.000
044643	18*)	1.000	053503	47*)	1.000
044686	1—50	200	053526	1—50	200
044774	49*)	1.000	053570	02*)	5.000
044887	08*)	1.000	053673	1—50	500
045068	15*)	1.000	053674	09*)	1.000
045357	11*)	1.000	053688	08*)	1.000
045658	1—50	200	053718	06*)	1.000
045739	05*)	1.000	053748	05*)	1.000
045887	33*)	10.000	053926	07*)	1.000
045912	26*)	1.000	053954	47*)	1.000
045998	36*)	1.000	054079	38*)	1.000
046047	04*)	1.000	054099	1—50	500
046063	12*)	1.000	054135	26*)	1.000
046350	05*)	1.000	054262	12*)	10.000
046395	48*)	1.000	054455	46*)	1.000
046601	35*)	1.000	054459	10*)	1.000
046646	25*)	1.000	054469	19*)	1.000
046651	05*)	1.000	054485	09*)	1.000
046921	1—50	200	054758	1—50	500
047002	28*)	1.000	055152	36*)	1.000
047009	13*)	1.000	055431	49*)	1.000
047042	08*)	5.000	055505	33*)	1.000
047162	1—50	200	055689	09*)	5.000
047182	1—50	200	055750	24*)	1.000
047197	30*)	1.000	055762	1—50	500
047211	47*)	1.000	055860	05*)	1.000
047223	1—50	500	056157	50*)	1.000
047388	28*)	1.000	056871	31*)	1.000
047446	26*)	1.000	057310	1—50	200
047624	1—50	200	057338	48*)	5.000
047679	1—50	200	057840	24*)	1.000
047765	1—50	200	058010	15*)	1.000
048116	24*)	1.000	058272	28*)	1.000
048120	04*)	1.000	058320	24*)	1.000
048455	40*)	1.000	058401	38*)	1.000
048478	46*)	1.000	058634	40*)	1.000
048494	14*)	1.000	058684	46*)	1.000
048495	43*)	1.000	058731	1—50	200
048696	25*)	1.000	058870	43*)	1.000
048736	13*)	1.000	058876	27*)	1.000
048925	49*)	5.000	058955	17*)	1.000
049269	1—50	500	059177	19*)	5.000
049396	1—50	500	059353	1—50	500
049602	05*)	1.000	059396	1—50	200
049647	1—50	200	059488	31*)	5.000
049666	1—50	500	059518	06*)	1.000
049785	36*)	1.000	059732	1—50	200
049854	14*)	1.000	059749	1—50	200
049961	1—50	500	059811	35*)	1.000
050011	1—50	500	059886	24*)	1.000

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 200 მანეთი მოგება თვითეულს.

მოგების ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — ნიუნი ტაგილის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

ნ. მ. დენისენკო.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი

მ. ა. სმირნოვა.

ლომარეულა

ტვინი გალეწილ ხვავში გარევია. არჩილა იმ დროს შინისკენ ურმით მიდენილა. ეგ ამბავი რომ გაუგია, გაცეცხლებულს ხორნაბუჯელისთვის თავს დაუვლია, ვიწრო ხეობაში კლდის თავზე ჩასაფრებია, დიდი ლოდი უსვრია და ბატონ